დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: **მაკა ჭიაბერაშვილი**
წევრები:
მაკა კანდელაკი-ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი;
რუსუდან უსტიაშვილი- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნიკა უთალიშვილი- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
თამთა პეტრიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
თამარ ხოსროშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
მეგი კაპანაძე- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
როლანდი ხოჯანაშვილი- სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
მზია დადვანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ნათია ბრეგაძე- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	245429567

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი
იურიდიული მისამართი	ქალაქი ბათუმი, ნონეშვილის ქ. N1/5
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ბათუმი, ნონეშვილის ქ. N6
საფოსტო ინდექსი	6010
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	------
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	batumi17@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577270275

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 0000689050 14.06.2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 12,13 ივლისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული ენა	ქალაქი ბათუმი, ნონეშვილის ქ. N1/5
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები;	ქართული ენა	ქალაქი ბათუმი, ნონეშვილის ქ. N1/5
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო - X-XII კლასები.	ქართული ენა	ქალაქი ბათუმი, ნონეშვილის ქ. N1/5

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის შეფასების პროცესი აქტიურ რეჟიმში წარიმართა. დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას.
ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

საბოლოოდ სტანდარტები შეფასდა შემდეგნაირად: I-სრული;II-მეტწილი; III- ნაწილობრივი; IV- სრული.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 650	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები

ექსპერტთა ჯგუფმა მეტწილ შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია,წარმოადგინოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2023 წლის 15 სექტემბრამდე.
ინდიკატორი N1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლამ წარმოადგინოს სტრატეგიული გეგმა, დასადგენად,ეფუძნება თუ არა მას სამოქმედო გეგმა, 2023 წლის 15 სექტემბრამდე.
ინდიკატორი N1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები.2023 წლის 15 სექტემბრამდ
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N3.1.2.3.	პერსონლის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმება ობიექტურობისა და გამჭირვალეობის პრინციპების დაცვით.	სკოლამ წარმოადგინოს საქართველოს კანონის „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობ შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები. თანამშრომლების ნაწილს არ აქვს„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1^2 პუნქტის შესაბამისი ნასამართლეობის ცნობა.2023 წლის 01 ოქტომბრამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი N3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გაწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები.2023 წლის 20 ოქტომბრამდე.
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	1.სკოლამ წარმოადგინოს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა.2023 წლის 01 ნოემბრამდე.. 2.სკოლამ წარმოადგინოს სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა/მიწერილობა.2024 წლის 01ივლისამდე. 3.გამოყოს ექიმის კაბინეტში სამედიცინო ტახტი შირმის საშუალებით.2023 წლის 01 ნოემბრამდე. 4.სკოლამ წარმოადგინოს შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების შესახებ დასკვნა.2024 წლის 01ივლისამდე.
ინდიკატორი 3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	1.რესურსოთახი ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის გახადოს ხელმისაწვდომი. 2023 წლის 01 ნოემბრამდე. 2. უზრუნველყოს გარეთ არსებულ პანდუსზე სახელურების დამაგრება.2023 წლის 01 ნოემბრამდე. 3.უზრუნველყოს ადაპტირებულ სველ წერტილში საყრდენი სახელურების დამაგრება.2023 წლის 01 ნოემბრამდე. 4.უზრუნველყოს მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსი/ლიფტის ხელმისაწვდომობა.2023 წლის 01 სექტემბრიდან 2024 წლის 01 სექტემბრამდე.
ინდიკატორი 3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლამ წარმართოს კომუნიკაცია ვებ გვერდის შექმნის მიზნით შესაბამის უწყებასთან,გამოყოს ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი,განათავსოს ვებ გვერდზე სტანდარტის შესაბამისი დოკუმენტაცია.(2023 წლის 01ნოემბრამდე)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას	სკოლამ წარმართოს კომუნიკაცია ვებ გვერდის შექმნის მიზნით შესაბამის უწყებასთან,გამოყოს ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი,განათავსოს ვებ გვერდზე სტანდარტის შესაბამისი დოკუმენტაცია.(2023 წლის 01 ნოემბრამდე)
ინდიკატორი 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	განათავსოს ვებ გვერდზე სტანდარტის შესაბამისი დოკუმენტაცია.(2023 წლის 01 ნოემბრამდე)
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N4.2.4.1.	სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);	სკოლას ბრძანებით განსაზღვროს იჯარით გაცემული ფართის - ბუფეტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. (2023 წლის 15 სექტემბრამდე)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლამ შეიმუშავოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი აღმწერი დოკუმენტი.(2023 წლის 01 ოქტომბრამდე)

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რჩევა, კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანასთან დაკავშირებით
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი	სკოლას მიეცა რჩევა გამოყოს ფართი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გასამართად. სადაც იქნება ხელსაბანი და გამართოს გამწოვი კარადა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	
ინდიკატორი N3.5.1.5.	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).	სკოლას მიეცა რჩევა შეიძინოს ნივთიერებათა ნაკრები საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N4.2.1.1	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;	უმჯობესია სკოლამ შექმნას დოკუმენტი, სადაც ადაპტაციის მექნიზმები ერთად იქნება თავმოყრილი და გაწერილი.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)**	**რჩევა**
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	1. **უცხოურ ენები და ჩვენი საქართველო** -უმჯობესია სკოლამ სამივე საფეხურზე შექმნას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ხელს შეუწყობს გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მოსწავლის მიღწევების გაზომვას. ამისთვის კი აუცილებელი რუბრიკის შინაარსობრივი ნაწილი (კრიტერიუმები) გამომდინარეობდეს საგნობრივი სტანდარტის მიხედვით თემის ფარგლებში შექმნილი ინდიკატორებიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

		2. **სპორტი** -განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება უნდა ეყრდნობოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. 3.**საზოგადოებრივი მეცნიერებები**-სკოლას მიეცა რჩევა სამივე საფეხურზე შექმნას მკაფიო რუბრიკები,რომელიც იქნება კონკრეტულ დავალებაზე მორგებული,ჰოლისტური და სტანდარტთან შესაბამისი. 4.**უცხოური ენები,საზოგადოებრივი მეცნიერებები, ფიზიკური აღზრდ და სპორტი**-საბაზო საფეხურზე პედაგოგებმა/კათედრამ უმჯობესია შექმნას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ხელს შეუწყობს გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მოსწავლის მიღწევების გაზომვას. ამისთვის კი აუცილებელი რუბრიკი შინაარსობრივი ნაწილი (კრიტერიუმები) გამომდინარეობდეს საგნობრივი სტანდარტის მიხედვით თემის ფარგლებში შექმნილი ინდიკატორებიდან.
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	1. **მათემატიკის** კათედრამ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები გაასწოროს/ წარმოადგინოს არსებული ჩარჩოს შესაბამისად, ხოლო მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმები წარმოადგინოს. სკოლამ დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებების შერჩევისა და მისი განხორციელების გზით იზრუნოს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებისათვის. დაწყებითების კათედრამ უნდა დააკონკრეტოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (ძალიან ზოგადია) უმჯობესია რეფლექსიის/დიაგნოსტრირების ინსტრუმენტის შემუშავება/განხორციელება, რათა სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს მოსწავლის შედეგების ანალიზი. **მათემატიკის** საბაზო საფეხურის კათედრამ უჯობესია შექმნას კურიკულუმები, სადაც შერჩეული იქნება თემის შესაბამისი კომპლექსური დავალებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		ფუნქციური უნარების განვითარებას და გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების განხორციელებას. 2.**სახელმწიფო ენა**-სკოლას მიეცა რჩევა, მოიყვანოს სტანდარტთან შესაბამისობაში სახელმწიფო ენის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო
ინდიკატორი 2.2.3.2	სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად	**ბუნებისმეტყველება**-სკოლას მიეცა რჩევა, მოხდეს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი და ანგარიში მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე, შექმნან საგნობრივი წრეები.
ინდკატორი 2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი	**ბუნებისმეტყველება**-განახორციელოს კვლევა სკოლის პრიორიტეტებისა და მოქმედების არეალის გამოსაკვლევად.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ:

- რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება“ (1.2.1.2; 1.2.1.3; 1.2.1.4; 3.1.2.3; 3.1.2.4; 3.4.1.1.; 3.5.1.3; 3.6.3.1; 3.6.3.4, 3.6.3.5; 4.2.4.1; 2.2.2.5), ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით,
- გარკვეული ინდიკატორები 4.1.2.1 შესაბამისობის გეგმაში მითითებული იყო როგორც ,,დასრულებული“ - ექსპერტებმა განიხილეს აღნიშნული ინდიკატორების მიხედვით სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (საკანონმდებლო აქტები, დანართები) და დაადგინეს შესაბამისობა მითითებული ინდიკატორების შესრულების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია სრულ შესაბამისობაში ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, მაგრამ სკოლას არ წამოუდგენია ხედვა. მოწოდებული მასალებით დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს აღნიშნული პრობლემა. დირექციამ წარმოადგინა ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ და გეგმა - გრაფიკი, რომლის თანახმადაც აპრილის თვიდან სკოლამ დაიწყო მისიის რევიზირების პროცესი. გამოიკითხა სასკოლო საზოგადოება, მოხდა სიტუაციის ანალიზი, რომელიც swot ანალიზის საშუალებით იქნა წარმოდგენილი. გეგმა -გრაფიკის თანახმად, სექტემბრის თვეში, სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და გაზიარებულობით მოხდება საბოლოო მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა სასკოლო საზოგადოებისთვის წარმოადგენს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის დირექტორის მოადგილე, მანდატური, რესურსცენტრის წარმომადგენელი, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე და ორი მასწავლებელი. სკოლას ემსახურება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მანდატურის სამსახურის ორი მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვასა და უსაფრთხო გარემოს სკოლაში. ვიდეო თვალთვალი ხდება სკოლაში დამონტაჟებულია 10 ვიდეოთვალით, რომლებითაც კონტროლდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი, ვიდეომასალები ინახება სამი კვირის განმავლობაში. მასწავლებლებთან შეთანხმებით შედგენილია მორიგეობის განრიგი, შესვენებებზე სკოლის მასწავლებლები მორიგეობენ დერეფანში. გარდა ამისა, სკოლას აქვს მემორანდუმი რამდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. სკოლა აქტიურია არაფორმალური განათლების მიმართულებითაც, რომლის ფარგლებში სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო და ილია ჭავჭავაძის სახელობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დრამატულ თეატრებთან, ბათუმის მუზეუმებთან. სკოლა ცდილობს შექმნას განსაკუთრებული სოციო-კულტურული სივრცე არამხოლოდ სასკოლო საზოგადოებისთვის, არამედ იმ თემისთვის, რომელშიც სკოლა მდებარეობს. სკოლა ყოველწლიურად გეგმავს და ახორციელებს სასკოლო პროექტებს ესგ-ში მოცემული პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით. გარდა ამისა, სკოლაში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს სამოქალაქო კლუბი. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით სკოლის ვიზუალური დათვალიერებით და დერეფნებში გამოკრული სასკოლო თუ საკლასო პროექტების ამსახველი მასალებით დასტურდება, რომ სკოლაში არაფორმალური განათლება არის ის გზა, რომლითაც ხდება მშობელთა და გარესაზოგადოების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. ეს კი ქმნის გარემოს მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისათვის და სკოლას სოციო-კულტურულ სივრცედ აყალიბებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით. სხვა მტკიცებულება ამ ეტაპზე სკოლას არ წარმოუდგენია მოქმედი მისიის ფარგლებში, თუმცა წარმოადგინეს გეგმა - გრაფიკში გაწერილი სამუშაოების დამადასტურებელი მასალები, რაც ადასტურებს, რომ რევიზირების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. წარმოდგენილ იქნა : კითხვარები, მათი ანალიზები, swot ანალიზი. გეგმა- გრაფიკში გაწერილი აქტივობები ადასტურებს , რომ პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ამიტომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის მისია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით. სხვა მტკიცებულება ამ ეტაპზე სკოლას არ წარმოუდგენია მოქმედი მისიის ფარგლებში, თუმცა წარმოადგინეს გეგმა -გრაფიკში გაწერილი სამუშაოების დამადასტურებელი მასალები, რაც ადასტურებს, რომ რევიზირების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციითა და მათი უკუკავშირის გათვალსიწინებით. წარმოდგენილ იქნა : კითხვარები, მათი ანალიზები, swot ანალიზი. გეგმა- გრაფიკში გაწერილი აქტივობები ადასტურებს , რომ პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების მიერ პროცესის გაზიარებულობით, ამიტომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
5. სკოლის მისია საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის ფოიეში განთავსებული პლაკატით. მომავალში დაგეგმილია ვებგვერდზე მისი განთავსება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს: სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია
- სსგ 2022-2023
- გეგმა-გრაფიკი
- გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული მასალები: კითხვარები, swot ანალიზი.
- ინტერვიუ დირექციასთან.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის N 01-03/20 04.04.2023 ბრძანებით. მასში მკაფიოდაა გაწერილი როგორ უნდა შეიქმნას სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. როგორ უნდა მოხდეს მასში ცვლილების შეტანა, მათი მონიტორინგი და შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სკოლას არ წარმოუდგენია შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „სტრატეგიული გეგმა 2022-2023„ არის ერთწლიანი და არ შესაბამება სტრატეგიული გეგმის მოთხოვნებს. სკოლას განემარტა სტრატეგიული გეგმის მნიშვნელობა, მისი ფუნქცია და მიმართება სკოლის მისიასთან და ხედვასთან. სკოლის დირექციის განმარტებით, მოხდება შვიდწლიანი გეგმის შემუშავება. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 15 სექტემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

2.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, თუმცა გეგმის შესრულების ანგარიში დოკუმენტაციაში არ იძებნება. ვერც იმის დადგენა ხერხდება, რამდენადაა შესაბამისობაში ერთწლიანი გეგმა სტრატეგიულ გეგმასთან, რადგან ეს უკანასკნელი ასევე არ არის შექმნილი.სკოლის მიერ არც 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი არ იქნა წარმოდგენილი. ამიტომ, **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 15 სექტემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ძირითადი მიმართლებები და აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 15 სექტემბრამდე) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

3. დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუ დირექციასთან;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; მასში მკაფიოდაა გაწერილი, ვის მიერ, როგორი პერიოდულობით, რომელი ინსტრუმენტებით უნდა მოხდეს სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. როგორ უნდა მოხდეს მათი შესრულების ანგარიშები ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მიმდინარე პროცესში სკოლა ავტორიზაციას გადის , როგორც ახალდაფუძნებული დაწესებულება, სადაც შეუძლებელი მოცემული ინდიკატორის შეფასება. ზეპირი ინტერვიუ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლა მზადაა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად მომავალში განახორციელოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. **ინდიკატორი არ ფასდება.**
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ამ ეტაპზე ვერ იქნება საჯარო, რადგან სკოლა ავტორიზაციის პროცესში მონაწილეობს, როგორც ახალდაფუძნებული დაწესებულება და ამდენად, სამომავლოდ სკოლა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმისა და გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებას სკოლის ვებგვერდზე; **ამ ეტაპზე ინდიკატორი არ ფასდება;**
4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა სამომავლოდ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ამ ეტაპზე ინდიკატორი არ ფასდება.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუ დირექციასთან;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექციის თქმით სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, საგნობრივი ჯგუფის კათედრებს და მოსწავლეთა თვითმმართველობას. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი სკოლის დოკუმენტი (ფუნქციების განაწილება), რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორიცაა: სამუშაოს იდენტიფიცირება და მოკლე აღწერა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები, სამუშაო პირობები, ანგარიშგება და შესრულების შეფასება.
სკოლის დირექცია შედგება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის,დირექტორის მოადგილის და ბუღალტრისგან.
ადმინისტრაციაში შედის - საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ- ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექთანი, ბიბლიოთეკარი, 4 დამლაგებელი, მუშა, 2 დარაჯი, 3 ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტი-ასისტენტი.
პედაგოგიური პერსონალი შედგება - 36 მასწავლებლისაგან; 4 უსტატუსო, 5 წამყვანი დანარჩენი უფროსი, ასევე 2 სპეციალური მასწავლებელი. გარდა მასწავლებლებისა საათები აქვთ ბიბლიოთეკარს, დირექტორს და დირექტორის მოადგილესაც კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლაში ფუნქციონირებს 8 საგობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის,მათემატიკისა და ტექნოლოგიების, უცხოური ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდის, დაწყებითი საფეხურის და სპორტის. კათედრის სხდომა ფორმდება კათედრის სხდომის ოქმით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმები, შესაბამის ვადებში და შესაბამისი დღის წესრიგით.
სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობები, მისი არჩევის წესი. სკოლას აქვს თვითმმართველობისთვის გამოყოფილი პატარა ოთახი , აღნიშნული სტრუქტურული რგოლი აქტიურად არის ჩართული სკოლის მართვასა და ფუნქციონირებაში.
კანონმდებლობის სრული დაცვით , სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი და მრჩეველთა საბჭო.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, ფუნქციების განაწილებით და შინაგანაწესით.
სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები რეგულირდება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი შემდეგი დოკუმენტით: ფუნქციების განაწილება. სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. დირექტორის მოადგილე ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერად განხორციელებას, ზედამხედველობას უწევს კათედრების მუშაობას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი.
- ფუნქციების განაწილება.
- თვითმართველობის დებულება.
- ბრძანება N01-03/50 „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“
- კათედრების ოქმები
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- ბრძანება N01-03/50 „მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“
- სამოქმედო გეგმა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და სტრატეგიას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას.

სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.
შინაგანაწესით განსაზღვრულია: ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას - ცვლის ხანგრძლივობა; ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/ საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი .

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ფორმა,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების ბრძანება N01-15/ნ შესბამისად, სკოლა აწარმოებს სამუშაო დროის აღწერის ფორმას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის მიზანია:
ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.
ხარისხის ჯგუფს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მოადგილე.იგი ესწრება გაკვეთილებს, ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ჯგუფის წევრები ეხმარებიან კოლეგებს პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების შემუშვებასა და განხორციელებაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის პორტფოლიოები, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის პერსონალის შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი დაწესებულებაში თანამშრომელთა მიღების წესი

2022 წლის სექტემბერში სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი ინკლუზიური განათლების სპეციალისტის - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის საშტატო ერთეულზე ვაკანტური ადგილის შესავსებად. წარმოდგენილი აქვს ასევე კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შესახებ ბრძანება, კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების ვადების შესახებ ბრძანება და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობას. სკოლა სრულად იცავს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დამტკიცებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს. სკოლის ინფორმაციით გამოცხადებული ვაკანსიის დროს პრიორიტეტი ენიჭება იმ კანდიდატებს, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ პროფესიული განვითარებისთვის.სკოლას ყავს 4 უსტატუსო მასწავლებელი, რომლებზეც ორჯერ აქვს გამოცხადებული ვაკანსია,არ დარეგისტრირდა არცერთი კანდიდატი.

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში არ არის წარმოდგენილი უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა.(2020 წლის 23 ივლისი საქართველოს მთავრობის №463 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დაწესებულებები ვალდებული არიან, პირს დაწესებულებაში დასაქმებამდე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად, მოსთხოვონ სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაცია, მათ შორის, მოხსნილი ან/და გაქარწყლებული ნასამართლობის შესახებ, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა).თანამშრომელთა პირად საქმეებში რამდენიმეს არ აქვს ნასამართლეობის შესახებ ცნობა.(„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1^2 პუნქტის მიხედვით, მასწავლებელი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლობა)

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 01 ოქტომბრამდე) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.

4. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებული იყო 53 თანამშრომელი, ყველა მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებები სტატუსების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

არის გაფორმებული. სკოლას ჰყავს 4 უსტატუსო მასწავლებელი, რომელთა ხელშეკრულებაში მითითებულია კონკურსის წესით ვაკანსიის შევსებამდე.სკოლას ორჯერ აქვს გამოცხადებული ვაკანსია,არ დარეგისტრირდა არცერთი კანდიდატი.
მასწავლებლებთან ხელშეკრულებები დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს.მასწავლებლების კვალიფაკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ასევე შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციასთან ექთნის კვალიფიკაცია. სკოლას ორჯერ აქვს ექიმის საშტატო ერთეულზე ვაკანტური ადგილის შესავსებად ვაკანსია გამოცხადებული, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების შესაბამისად №41/ნ/01-23/ნ 21/03/2022 ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით.
სკოლას არ ჰყავს მაძიებელი მასწავლებელი და ასევე არ ჰყავს მოწვეული მასწავლებელი.
სკოლას არ აქვს გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.მასწავლებლების და ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება კანონმდებლობას, მაგრამ პერსონალის (მაგ; საქმისმწარმოებელის, დარაჯის, დამლაგებლის და სხვა) კვალიფიკაცია რამდენად შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას არ დგინდებაოდა,**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2023 წლის 20 ოქტომბრამდე) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

5. სკოლის განმარტებით, სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოს პედაგოგიური საბჭოს და კათედრების მუშაობა. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს V,VI კლასებში ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილები(ბუნებისმეტყველება ინტეგრირებული საზოგადოებრივ მეცნიერებებთან) და განხორციელებული პროექტები.
სკოლას წარმოდგენილი აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დებულება
- ბრძანება N01-03/85 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ
- შინაგანაწესი
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების შექმნის ბრძანება N01-03/50
- ექიმის შტატის შესავსებად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის ოქმი N1-12/10/2022
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტის- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის ოქმი N3-29/09/2022
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები
- სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით (2020 წლის N01-03/50) შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება / შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. ჯგუფის წევრები ეხმარებიან კოლეგებს პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების შემუშვებასა და განხორციელებაში.სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის პორტფოლიოები, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით. სკოლას აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-5 თავია პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების მიზანია: ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის პორტფოლიოებით, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით.
სკოლას სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა (ინოვაციური სტრატეგიები/ მეთოდები;). ტრენინგ-სემინარებზე მიღებული ცოდნის კონსულტირება და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა.საჭიროების შემთხვევაში სკოლის ბუღალტერი და ექთანიც ესწრებიან ტრენინგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას. ახდენს ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, ხელს უწყობს პედაგოგებს გაიარონ ტრენინგები და აიმაღლონ კვალიფიკაცია და სტატუსი. მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს "მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა".დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მონაწილეობის ხელშეწყობას. პერსონალთა პირად საქმეში წარმოდგენილია სერტიფიკატები. ყველა კათედრას აქვს teams-ის პლატფორმაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შექმნილი ჯგუფი, სადაც გამოვლენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად იგეგმება აქტივობები და ვებინარები.სკოლაში მუშაობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი.სკოლამ საკუთარი ბიუჯეტიდან დააფინანსა ბულალტრის ტრენინგები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა ყველანაირად ცდილობს, რომ სკოლაში შექმნას გახსნილი თანამშრომლობაზე აგებული გარემო და ამ გარემოში ადვილად მოხდეს მასწავლებელთა ინტეგრაცია.ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების (II თავი მე-5 მუხლი) ერთ -ერთი მიზანია სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება,რაც დასტურდება თანამშრომლებთან გასაუბრებით. სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სკოლის რესურსით. სკოლას შექმნილი აქვს სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის დებულება სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ,რაც აძლევს სკოლას საშუალებას, აქტიურად მიეწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობის, ისე სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. ყველა ინიციატივა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლის პერსონალს განვითარდეს, წახალისებულია სკოლის მიერ. წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევით, დაკვირვების შედეგად ან ზეპირსიტყვიერად პერსონალის მხრიდან. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების და წახლისების მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის დებულება სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების შექმნის ბრძანება N01-03/50 16.11.2020
- შინაგანაწესი;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის დებულება სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს უწყვეტ ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და მის შედეგებზე დაკვირვებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში და ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში.სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი, კურიკულუმის შემუშავება, მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შინაგანაწესის 22-ე მუხლით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებიც მოიცავს გასაჩივრების პუნქტს, მაგრამ ეს წესი ზოგადია და არ აკონკრეტებს მექანიზმებს და პროცედურებს, ამიტომ სკოლამ პროექტის სახით შეიმუშავა სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი.

დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების/ საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურებს. განცხადების/საჩივრის შემოტანა შეუძლია მოსწავლეს, მშობელს, სკოლაში დასაქმებულ პერსონალს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი პროცესის საფეხურები და წარმოების ვადები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები აღწერილია შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში (მუხლი 19,მუხლი 23). დაწესებულებას შედგენილი და სკოლის დირექტორის 2023 წლის 4 აპრილის №03-01/21 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი მხარეთა (მშობელი, სკოლა) უფლება მოვალეობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი
- სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმები
- შინაგანაწესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- ბრძანება მშობლებთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ N03-01/21
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შედგენილი მართვის პროცესებთან დაკავშირებული გარკვეული დოკუმენტები საჯაროა და მათი გაცნობის ვალდებულება სკოლის ყველა თანამშრომელს და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აქვთ. მათ შორისაა, სკოლის შინაგანაწესი, რაც დასტურდება მშობელთა კრების ოქმით N01 23/09/2023.მშობელთან ურთიერთობის დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად სკოლა ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს/წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ; ამავე დებულების მე-5 მუხლი ითვალისწინებს მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრის, ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო ზარის ან წერილობითი შეტყობინების გაგზავნას. მშობლებს შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ. სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები. მისი მოვალეობაა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვა). ასევე რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ.
საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია. გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს საჭირო ღონისძიებებს. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საიფორმაციო დაფა, საიდანაც სასკოლო საზოგადოება ეცნობა სიახლეებს. სკოლას ამავე მიზნით აქვს სოციალური ქსელი, და teams-ის პლატფორმაზე საგნობრივი ჯგუფები; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას. როგორც ცნობილია, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. სკოლაში მრჩეველთა საბჭოც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფუნქციონირებს, სადაც სკოლის წარმომადგენლებთან ერთად მანდატურის სამსახურის თანამშრომლები და რესურსცენტრის მიერ განსაზღვული პირები მონაწილეობენ გარკვეული საკითხების განხილვაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.დამრიგებლის პორტფოლიო
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- ბრძანება მშობლებთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ N03-01/21
- თვითმმართველობის დებულება
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- პედსაბჭოს ოქმები
- მშობელთა კრების ოქმი N01 23/09/2023

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახურ.შენობაში დამონტაჟებულია 9 ვიდეო-სათვალთვალო კამერა. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს 2 დარაჯი. დარაჯი ვალდებულია დღის მანძილზე გააკონტროლოს მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.შენობაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები, კერძოდ შენობაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია. ორივე სართულზე, კედელზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი. ყველა სართულზე განთავსებულია სახანძრო სტენდი. სკოლას არ აქვს სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა. სკოლამ წარმოადგინა შსს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურისთვის მიწერილი წერილი, სადაც ითხოვს სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას. სკოლამ ვერ წარმოადგინა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა.
სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს კვალიფიკაციის შესაბამისი ექთანი, (სკოლამ ორჯერ გამოაცხადა ღია კონკურსი ექიმის შტატის შესავსებად, რაც დასტურდება საკონკურსო კომისიის ოქმი N1 და ოქმი N2 -ით) შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექთანს. ექიმი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. სამედიცინო ტახტი ხელოვნური ბარიერის საშუალებით არ არის გამოყოფილი.სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს, განსაზღვრავს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითად ელემენტებს და განსახორციელებელ ქმედებებს.
სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის სსიპ -„112“ -ის ცხელი ხაზის ნომრის და აღნიშნული უწყების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.
სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების შესახებ დასკვნა, თუმცა წერილობით მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.
სკოლას მიცა რჩევა, კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანასთან დაკავშირებით. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, 1. საგანგებო სიტუაციების მართვის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გეგმას შეათანხმებს შესაბამის უწყებასთან 2023 წლის 01 ნოემბრამდე, 2. შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნას წარმოადგენს 2024 წლის 01 ივლისამდე, 3. ექიმის კაბინეტში სამედიცინო ტახტის შირმის საშუალებით გამოყოფს 2023 წლის 01 ნოემბრამდე, 4.შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების შესახებ დასკვნას წარმოადგენს 2024 წლის 01ივლისამდე.ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი და მანდატურები. სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია (მათ შორის, შინაგანაწესი) თავისი შინაარსით, მოიცავს წესრიგის დაცვის გაწერილ მექანიზმებს, რომლებიც საჯაროა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შედგენილი აქვს პედაგოგების მორიგეობის სიაც.სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილია კლასის საათის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს მიზნით სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები.(მაგ. ,,იყო თავისუფალი ნიშნავს აღიარო სხვისი თავისუფლება და უფლებები“,ტოლერანტობა -საუკეთესო რელიგიაა და სხვა.პროექტები ატვირთულია სკოლის სოციალურ ქსელში). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნველყოფს 4 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას.სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ოთახში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით.საჭირო რესურსით აღჭურვას უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები და უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. (საქმისმწარმოებელი).სკოლასა და მშობელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების მე-4 მუხლი მოიცავს რეგულაციებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. პერსონალურ მონაცემთა დაცვა განპირობებულია სკოლაში მოქმედი ელექტრონული სისტემების მეშვეობით, როგორიცაა: Teams-ის პლატფორმა,ელექტრონული ჟურნალი.

ჟურნალის მეშვეობით მუშავდება მოსწავლეთა მონაცემები, კერძოდ: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, შეფასება, დასწრება, საგნის ჯგუფები და განრიგი. ელექტრონული ჟურნალი არის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციოს სიტემის ორგანიზებით შექმნილი პლატფორმა, სადაც ელექტრონულად აღირიცხება მოსწავლეთა დასწრებები და შეფასებები. სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს , საქმისმწარმოებელს და საინფორმაციო მენეჯერს. მანდატურის სამსახური მთლიანად უზრუნველყოფს მონაცემების დაცვას ვიდეო თვალთვალის განხორციელებისას სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა თანამშრომლობს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთან;

ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები 30 დღის განმავლობაში ინახება სათანადოდ დაცულ ადგილზე საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთან და ჩანაწერის მიღება დასაბუთებული მოთხოვნით შეუძლია სკოლის დირექციას, დისციპლინურ კომიტეტს, მრჩეველთა საბჭოს. ასევე, სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კანონიერ წარმომადგენელს საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ადგილზე გაეცნოს სხვისი პერსონალური მონაცემების დაცვით.

ასევე ხდება მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას. პირადი საქმეები ინახება სკოლაში დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებლს, დირექტორის მოადგილეს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე). ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

სკოლის შესასვლელში ხორციელდება ვიზიტორების მონაცემების აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში. დაწესებულებას აქვს შემუშავებული წესი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესს და მონიტორინგის მექანიზმებს, შესაბამისად, პროცესები ორგანიზებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა აღნიშნული მიზნით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით . მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმით N3 16.01.2023.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სადამრიგებლო პროგრამა;
- ბრძანება საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ N01-09/74
- ბრძანება მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმებისდამტკიცების შესახებ N01-03/06
- ბრძანება დარაჯის დანიშვნის შესახებ N01-05/12
- სოციალური ქსელი
- სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ წერილი.
- მჩეველთა საბჭოს ოქმი
- ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერით სსიპ ბათუმის N17 საჯარო სკოლა მდებარეობს ბათუმში ნონეშვილის ქუჩა N1/5 -ში განთავსებულ შენობაში. დაზუსტებული ფართობია 4788.00 კვ.მ. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. შენობა ორსართულიანია. სასწავლო პროცესი ორ ცვლაში მიმდინარეობს,ერთი (მეხუთე) კლასი ჰყავს შეჭრილ ცვლაში. ამ ეტაპისთვის E-school-ის მონაცემებით სკოლაში სწავლობს **593 მოსწავლე.** საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის და საფეხურის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მაასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია. სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა“ 2020 წელს სკოლას საჩუქრად გადასცა მზის ფოტოვოლტური სისტემა.
სკოლაში არის შიდა სპორტულ დარბაზი, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, ადმინისტრაციის კაბინეტი და სამასწავლებლო, მანდატურებისთვის განკუთვნილი ოთახი, ორი რესურსოთახი და სხვა ძირითადი და დამხმარე სივრცეები. ორივე სართულებზე განთავსებულია სველი წერტილები.
სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის გამოყოფილი სივრცე,თუმცა აქვს საბუნებისმეტყველო საგნების – ქიმია, ფიზიკა ბიოლოგია- ლაბორატორიის ერთი კომპლექტი.სკოლას აქვს გამწოვი კარადა დაშლილ მდგომარეობაში, სკოლას მიეცა რჩევა გამოყოს ფართი ლაბორატორიის გასამართად.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის შენობაში სასწავლო პროცესი ორ ცვლაში ხორციელდება. ამ დროის განმავლობაში, მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, რომელშიც სამკითხველოც არის მოწყობილი, კომპიუტერული ლაბორატორიით, სპორტული დარბაზით. სკოლის სააქტო დარბაზიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის, აქ მათი მონაწილეობით ხშირად იმართება სხვადასხვა შინაარსის აქტივობები. შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, ასევე ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის სრულად ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის. კერძოდ, სკოლის შესასვლელში არის პანდუსი რომლის უკანა ნაწილი ღიაა და არ არის უსაფრთხო, პირველ სართულზეა ადაპტირებული სველი წერტილი, რომელიც არ არის სრულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ადაპტირებული (არ აქვს ხელის მოსაკიდი).სკოლას აქვს ორი რესურსოთახი, ერთი არის პირველ სართულზე, რომელიც განკუთვნილია ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამით არსებული ინტეგრირებული კლასისთვის.მეორე რესურსოთახი მეორე სართულზეა და ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის არ არის ხელმისაწვდომი.შენობას შესასვლელში აქვს პანდუსი,რომლის უკანა მხარე ღიაა და სახიფათოა.არ არის მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსი.**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები 1.რესურსოთახის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს 2023 წლის 01 ნოემბრამდე , 2. პანდუსზე სახელურების მოწესრიგებას უზრუნველყოფს 2023 წლის 01 ნოემბრამდე 3. ადაპტირებულ სველ წერტილში საყრდენი სახელურების დამონტაჟებას უზრუნველყოფს 2023 წლის 01 ნოემბრამდე. 4. მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით, შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციას წარმართავს 2024 წლის 01 სექტემბრამდე. ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

4. სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით მრავალ აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის სააქტო დარბაზს, სპორტულ დარბაზს, სკოლის ეზოს, საკლასო ოთახებს და კაბინეტებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას და ამავდროულად, თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ გამოცდილებას სძენს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მატერიალური რესურსი ნაწილობრივ აკმაყოფილებს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბიბლიოთეკაში არის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები სასწავლო შემეცნებითი წიგნების/რუკების სახით. საქალაქო ბიბლიოთეკის რეორგანიზაციის შედეგად სკოლას გადაეცა დიდი წიგნადი ფონდი.კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია 12 პერსონალური კომპიუტერით, 3 ლეპტოპით და პრინტერით.მასწავლებლები იყენებენ პროექტორებს.სკოლას მიეცა რჩევა შეიძინოს ნივთიერებათა ნაკრები საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ბიბლიოთეკის დებულება
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის შენობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) საფუძველზე შედგენილი მიწერილობა;
- ექთნის ხელშეკრულება;
- მზის ფოტოვოლტური სისტემის მიღება-ჩაბარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ბრძანება ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით დროებითი კომისიის შექმნის შესახებ N01-03/78

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს,რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მოსწავლეების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკა.ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში სკოლას გადაეცა 41პერსონალური კომპიუტერი, აქვს 5 პროექტორი, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი კურიკულუმებით ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს.დაწესებულებას აქვს „სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯაროსკოლის დებულება სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ “. სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალის მხრივ გამოიყენება პროექტორები - პრეზენტაციის, ფილმებისა და სლაიდშოუს ჩვენებისას. ტექნიკაზე პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯაროსკოლის დებულება სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ “.
- კურიკულუმები
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შედგენილი და ბრძანებით N01-09/74 დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებსაც, კერძოდ, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2.სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანების ფორმა შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის 52-ე მუხლს. სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებაზე, აკონტროლებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე. გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტონული ფოსტა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

batumi17@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში(Eschool). სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.(E-school.emis.ge), სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები. სსსმ მოსწავლეების მონაცემები ასახულია და ატვირთულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები და მიმაგრებულია სპეცმასწავლებელი. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ვადების და პროცედურების დაცვით ხდება ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან. სამეურვეო საბჭოს ოქმით დასტურდება სკოლის დირექტორის მიერ წლიური ანგარიშის წარდგენის ფაქტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ბრძანება N01-09/74
- სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- ვიზუალური დათვალიერება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ვებ-გვერდი არ აქვს. სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალების გასავრცელებლად სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს, სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა დახურული ჯგუფები, რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2023 წლის 01 ნოემბრამდე) ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი**

2.სკოლას აქვს როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ვალდებულება გაავრცელოს მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რაც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე ან/და სოციალური ქსელის ოფიციალურ კედელზე, შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შექმნილია გამოკითხვის ელექტრონული ფორმა, რომელიც ანონიმურია და მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით ამოწმებს რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი. დაწესებულია მშობელთა ვიზიტის დღე. მოსწავლეებს, მშობლებს, ადგილობრივ თემს შესაძლებლობა აქვს სკოლის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ ინიციატივები მიაწოდოს ხელმძღვანელობას. ინიციატივებს განიხილავს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის დირექციასთან ერთად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლას არ აქვს ვებ გვერდი. ფეისბუქ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2023 წლის 01 ნოემბრამდე) ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი**

5.სკოლას არ აქვს ვებ გვერდი, სკოლას აქვს facebook გვერდი.**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2023 წლის 01 ნოემბრამდე) ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური ქსელი; https://www.facebook.com/profile.php?id=100057056996577&mibextid=LQQJ4d

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- E-scool ის დათვალიერება

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე და კომუნალურ გადასახადებზე. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საოფისე ხარჯები და მცირე სარემონტო სამუშაოების ჩატარების ხარჯები. (სამოქმედო გეგმაში გაწერილია). სკოლის ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ N476 დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომლის მოცულობა განისაზღვრება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობით. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექიმის ხელფასის პროგრამულ დაფინანსებას, აგრეთვე მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის შესაბამისად დანამატების და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულ დაფინანსებას, რომელიც, თავის მხრივ, სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეების რაოდენობით განისაზღვრება. ზემოთ ხსენებული ფინანსური შემოსავლების გარდა, ეკონომიკური საქმიანობით (იჯარით გაცემული ფართი) სკოლა მოიპოვებს დამატებით შემოსავლებს, რაც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და დამატებითი რესურსების მობილიზებაზე მიემართება; შესაბამისად, არსებული მდგომარეობით, სკოლას აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი დადგენილი წესის მიხედვით შეუფერხებლად წარმართოს სასწავლო პროცესი და უზრუნველყოს აუცილებელი ფინანსური ხარჯები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს წარუდგინა 2023 წლის სკოლის ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს ასევე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი
- საპროგნოზო ბიუჯეტი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულების პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. სსიპ ქალაქ ბათუმის №17 საჯარო სკოლის მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია 2022-2023 წლის სასწავლო გეგმაში , 2023-2024 სასწავლო კურიკულუმში და შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესი , ცალკე მუხლებად გამოყოფს: მუხლი 11. მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი; მუხლი 16. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები; მუხლი 19. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი; სკოლის მიერ განხორციელებული მოსწავლეების მიერ სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის ქმედებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის მოსწავლეთა უფლებები და ვალდებულებები. კერძოდ, მოსწავლეს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებით. მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი; მოსწავლის ქცევის კოდექსი; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-8 მუხლი ეხება შინაგანაწესის გაცნობას, რომელიც დასტურდება ხელისმოწერით. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა ჩართულობით შეიმუშავებენ მოსწავლეთა ქცევის წესებს, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღს, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენება, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების მოქმედების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ვადა და შეწყვეტის წესი, დავების გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, დამატებითი პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- 2022/23 წლის სასწავლო გეგმა
- კურიკულუმი
- ვიზუალური დათვალიერება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით, კერძოდ: "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესით" (საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04/ნ (11/01/2017)), მოსწავლეთა ჩარიცხვის დოკუმენტაციის გადამოწმებას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი . სკოლა ეტაპობრივად მიყვება აღნიშნული კანონის აღსრულებას: მოსწავლის მობილობის შესახებ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საფუძველზე იწყება საქმისწარმოება. დამრიგებლების დებულების თანახმად, კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს, 10 / 20 /45 დღე უწყვეტად გაცდენის შემთხვევაში დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე მიმართავს დირექტორს სტატუსის შეჩერების /შეწყვეტის შესახებ. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და გამოაგზავნა შესაბამისი დოკუმენტი- ინდიკატორი ფასდება როგორც „შესაბამისი“**

2. მართვის საინფორმაციო სისტემის E-school.emis.ge -ს დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა სთავაზობს მეოთხე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სთავაზობს არჩევანს მომავალი სასწავლო წლისთვის მეორე სავალდებულო უცხოური ენის ასარჩევად.(რუსული,ფრანგული, გერმანული) ამ მიზნით მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელებში დამრიგებლები ატარებენ გამოკითხვას. სკოლის მიერ იჯარით გაცემულ ფართზე ფუნქციონირებს სკოლის ბუფეტი, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სკოლასთან მიმართებით მის ტერიტორიაზე და ინტერნეტ სივრცეშიც არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია გადამოწმებულია. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.სოციალური ქსელი;
- E-school-ის ბაზა;
- ვიზუალური დათვალიერება
- მშობელთა კრების ოქმი N4 (ენის არჩევა)

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პერიოდში სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს, ადაპტაციაში დახმარება ხდება ყველა ახალი მოსწავლის, მაგალითად - პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის მშობელს სწავლის დაწყებამდე უკავშირდება კლასის დამრიგებელი და ეცნობა. საჭიროების შემთხვევაში, თუ ის სსსმ მოსწავლეა , აცნობს სპეციალურ მასწავლებელსაც, ასევე დირექციის დახმარებით ეცნობიან სკოლის გარემოს: საკლასო ოთახს, რესურს ოთახს, სკოლაში არსებულ სველ წერტილებს. სსსმ მოსწავლეების თანაკლასელების ინფორმირების მიზნით, ცნობიერების ასამაღლებლად ტარდება შეხვედრა, სადაც მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია განსხვავებული შესაძლებლობების ადამიანების შესახებ, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები მშობელს უწევენ კონსულტაციას მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას დოკუმენტი, სადაც ადაპტაციის მექნიზმები ერთად იქნება თავმოყრილი და გაწერილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2..სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით, ასევე სკოლაში ფუნქციონირებს ორი რესურს ოთახი, (ერთი განკუთვნილია ინტეგრირებული კლასისთვის)სადაც მოსწავლეებთან ტარდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდივიდუალური გაკვეთილები და ასევე გამოიყენება მათი განტვირთვის და დასვენების მიზნით. რესურს ოთახში სკოლა პერიოდულად აახლებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ რესურსებს. სსსმ მოსწავლეებთან მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მუშაობს ორი სპეციალური მასწავლებელი და სამი ასისტენტი. ისინი საგნების მასწავლებლებსა და მშობელთან ერთად კოორდინირებულად მუშაობენ მოსწავლეების აკადემიური, შემეცნებითი, ფუნქციური, სოციალური უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.მხარდაჭერის მიზნით, სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად მიიღონ დამატებითი კონსულტაცია. სკოლის მასწავლებლები და დირექცია ჩართულები არიან ყველა იმ აქტივობაში, რაც დაკავშირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასთან და საჭიროებისამებრ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის წესდებით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით/ კურიკულუმით. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს და საჭირო ინტერვენციას. ასევე მასწავლებლები უწევენ მოსწავლეებს სათანადო კონსულტირებას წლიური და საშემოდგომო გამოცდის წინ, რაც დადებითად აისახება მოსწავლეების შედეგებზე. სკოლაში სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და კოგნიტური უნარეების გაუმჯობესების მხარდაჭერის მიზნით რესურს ოთახში სპეციალური მასწავლებელები მუშაობენ წინასწარ განსაზღვრული განრიგის შესაბამისად. პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. დაგეგმილი ღონისძიებები და პროექტები მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას უწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით სკოლა მხარს უჭერს დამატებითი/არაფორმალური აქტივობებს და მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. კერძოდ: სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც საკმაოდ აქტიურია.სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო კლუბი „მოქალაქეები“, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა ხასიათის ინიციატივებს.აღნიშნული კლუბის წევრები, ახორციელებენ საინტერესო პროექტებს, (პროექტი „მსოფლიო დღეები“,გავერთიანდეთ კონფლიქტის წინააღმდეგ“ და სხვა.)ჩართულები იყვნენ პროექტში „პირველი ავტოგრაფი“, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მაყურებლის სიმპატია დაიმსახურეს.თვითმმართველობაც და კლუბიც შექმნილია კანონმდებლობის დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სკოლაში ჩატარდა პრაქტიკული კვლევა,რომლის უმთავრესი მიზანი მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლება, მათი სოციალური და სხვა უნარების გაუმჯობესებაა.საკვლევი თემა იყო შემაჯამებელი დავალების დაბალი შეფასების მიზეზები. გამოვლინდა სუსტი და ძლიერი მხარეები, გამოიკვეთა, თუ რა მიმართულებით უნდა იმუშაოს სკოლამ, დაიგეგმა პრევენციული აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლის ადაპტაციის წესი.
- სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- შინაგანაწესი
- განხორციელებული პროექტები
- თვითმმართველობის დებულება
- დამრიგებლის მუშაობის დებულება
- კლუბის წესდება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ამ ეტაპზე, სკოლა არ ახორციელებს პროფესიულიორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამას. თუმცა, არაფორმალური განათლების ფარგლებში, სკოლაში ხდება სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ადამიანების მოწვევა. სკოლის მიერ განხორციელებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროექტის ფარგლებში მოიწვიეს სკოლის კურსდამთავრებულები,რომლების სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები არიან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზეც და დოკუმენტბრუნვის სისტემაში სკოლას შემოსდის ინფორმაცია, სიახლეები საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ კონკრეტულ პროგრამებზე / ლექციებზე დასწრებას. მიღებულ ინფორმაციას დირექცია აწვდის შესაბამისი კლასების დამრიგებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, ძირითადად სოციალური ქსელების დახმარებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.ადმინისტრაცია გეგმავს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს უზრუნველყოს მოსწავლეებთან ფოკუს ჯგუფების ჩატარება, რომლის მიზანი იქნება პროფორიენტაციის კუთხით სკოლის გაძლიერება **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100057056996577&mibextid=LQQJ4d

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2022 წლის 28 დეკემბრის N1670262 ბრძანებით დამტკიცებული 2023 წლის "ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა" პროგრამის ქვეპროგრამის - "საჯარო სკოლებში ინტეგრირებული კლასების დაფინანსება" ფარგლებში სსიპ - ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებისათვის ინტეგრირებული კლასი,15 მოსწავლეს ემსახურება ფსიქოლოგი, 3 სპეცმასწავლებელი და 2 ასისტენტი.გარდა ამისა სკოლაში სწავლობს 20 სსსმ მოსწავლე-2 სპეციალური მასწავლებელი და 3 ასისტენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებული ფორმა - დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, გაკვეთილებზე დასწრებისა და რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობების გათვალისწინებით. ისგ იქმნება კონკრეტული სსსმ მოსწავლისათვის. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ქმნის ისგ ჯგუფი, რომელიც დამტკიცებული აქვს დირექტორის სასწავლო წლის დასაწყისშივე. ისგ-ს წევრია სსსმ მოსწავლის მშობელი. მისი ხელმოწერაა დაფიქსირებული ყველა ისგ-ს ოქმში. სკოლას ჰყავს 20 სსსმ მოსწავლე, 2 სპეციალური მასწავლებელი და 3 ასისტენტი. ყველა მოსწავლის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა ატვირთულია E-school-ის ბაზაში. რესურს ოთახის კარებთან გაკრულია სპეციალური მასწავლებლის მუშაობის განრიგი. სკოლას შემუშავებული აქვს ყოველწლიური ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. კერძოდ, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კონსულტაცია, ისგ ჯგუფების შექმნა, სხდომების დაგეგმვა და ორგანიზება, რესურს ოთახების მოწესრიგება და აღჭურვა შესაბამისი რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. სამოქმედო გეგმით დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მასწავლებლების კონსულტირება სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლის აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით , სასწავლო მასალის ადაპტირებასთან დაკავშირებით. სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდაზე ზრუნვენ დამრიგებლები, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები და მოსწავლეები. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებას და განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვას უზრუნველყოფს დამრიგებელი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანაში მონაწილეობს სამეურვეო და პედაგოგიური საბჭო, (სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის დამტკიცებასთან/შეთანხმებასთან დაკავშირებით) ისგ ჯგუფი განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიღწეულ შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება სსიპ ქალაქ ბათუმის 17-ე საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ N01-03/29
- ისგ გეგმები
- შიდა მონიტორინგის დასკვნა
- სასკოლო სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას საიჯარო ხელშეკრულებით გაცემული აქვს 55 კვ/მ ფართი სკოლის ბუფეტის ფუნქციონირებისთვის. მოიჯარეს ხელშეკრულების N3 პუნქტის მე-2 მუხლის შესაბამისად სკოლას გამოყოფილი უნდა ყავდეს მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საიჯარო ქონების შემოწმება,დათვალიერება, რაზეც უნდა შედგეს შემოწმების აქტი. სკოლას არ აქვს ბუფეტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება.**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2023 წლის 15 სექტემბრამდე) ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა, კვების სერვისი ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, რომელიც წინასწარ შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
3.მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, შესაბამისად სკოლაში ყველა სერვისი და მომსახურება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- იჯარის ხელშეკრულება
- სამეურვეო საბჭოს ოქმი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინების შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ყურადღება მიექცევა სასკოლო საზოგადოების შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის ჩართულობით. ამის უზრუნველსაყოფად, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად, სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებას: ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, ბეჭდვით მასალებს, იყენებს საჯარო ღონისძიებებს ინფორმაციის გაზიარებისთვის, დამრიგებლების შეხვედრას მშობლებთან და სხვ.სასკოლო კურიკულუმის განახლება წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე მოხდება, სადაც გაითვალისწინებენ გასული სასწავლო წლის მიგნებებს, გამოკვეთილ პრობლემებსა თუ საჭიროებებს. სკოლა სსსმ მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფისთვის შეიმუშავებს კურიკულუმს შესაბამისი რესურსების, შინაარსის, თუ აქტივობების შერჩევის გზით. ასევე სასკოლო საზოგადოების ჩართულობას უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება. სკოლა აცნობიერებს მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობას თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებისთვის და გეგმავს სამომავლოდ მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლასა და გამოკვეთას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები აისახება კურიკულუმში, რომლებსაც კონსულტაციების შედეგად ადგენს სკოლა და რომლის განხორციელებასაც აპირებს ახალი 2023-2024 სასწავლო წლისთვის. ასევე საგნობრივი კურიკულუმების ფარგლებში ხდება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება, რომელსაც საგნობრივი კათედრის მასწავლებლები გამოკვეთავენ განვლილი სასწავლო პროცესების ანალიზის და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად, ისინი მიმართავენ სხვადასხვა საშუალებას: კვლევას, მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, განმავითარებელ უკუკავშირს, ასევე მასწავლებელთა თვითრეფლექსიას. თითოეული საგნობრივი კათედრა სხდომებზე გაუზიარებს კოლეგებს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილ პრობლემებს, მიგნებებს, მოსწავლეთა შედეგებს და განიხილავს მათთან ერთად კურიკულუმში ცვლილებების შესატანად. საგნობრივი კურიკულუმები ძირითადად გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, ის ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, მათ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. აღნიშნული ქმედებები მეტყველებს იმაზე, რომ სკოლა აცნობიერებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას სასკოლო ცხოვრებაში და აპირებს მუშაობას ამ მიმართულებით და მათი ინტერესების გათვალისწინებას სამომავლოდ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიზნით, მოხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, რაც მოიაზრებს მათ ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კათედრის თავმჯდომარე ათანხმებს კათედრის წევრებთან, მოსწავლეების მიღწევებისა და სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის მოგროვების სტრატეგიებს, ის ასევე უზრუნველყოფს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალების შეგროვებას, და კათედრის სხდომების ჩატარებას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად. კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის მისი გადახედვა, და დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრებისა და სკოლის დირექციის მუშაობა. სკოლის განვითარებისა და მისი საჭიროებების კვლევის პროცესში ჩართულია მოსწავლეთა თვითმმართველობაც, თუმცა წარმოდგენილია მხოლოდ 2022-2023 წლის თვითმმართველობის დებულება.
საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები ჩართულები იყვნენ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესში,
სკოლა იზიარებს რა თითოეული წევრის ჩართულობის მნიშვნელობას, გეგმავს ამ კუთხით გააძლიეროს მუშაობა და გამოიყენოს ანკეტირება/გამოკითხვა და სხვა საშუალებები, რათა მოახდინოს მშობლების, მოსწავლეების შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლა/გამოკვეთა სასწავლო პროცესებთან მიმართებით, რომ უზრუნველყოს კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლას აქვს მშობლებთან ურთიერთობის სხვადასხვა საკომუნიკაციო ფორმა, როგორც სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ინდივიდუალური შეხვედრები, სოციალური ქსელის საშუალებით, მშობლის ბარათები და სხვ. სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროექტების, ღონისძიებების თუ სპორტული აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისთვის სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს. სკოლის ელექტრონული ფოსტა, სკოლის ღია სივრცე, საინფორმაციო დაფა, რომელზეც ახალი ინფორმაციის განთავსება ხდება სკოლის შიდა და გარე კომუნიკაციის საშუალებებია, რომლის საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა ინფორმირება და ასევე ეფექტური უკუკავშირის მიღება. დაწესებულება გეგმავს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად, მომავალშიც გამოიყენოს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია**
- **საგნობრივი კურიკულუმები**

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის 1-4 კლასის კურიკულუმები, შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალება, კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მიწოდებული მატრიცებისა და კომპლექსური დავლაებების ნიმუშების მიხედვით, ცალკეულ შეთხვევებში კი მასწავლებელი ახდენს დავალების მოდიფიცირებას საჭიროების მიხედვით; თუმცა სკოლის კურიკულუმებში არ ჩანს მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმები მათემატიკაში, ხოლო 1-4 კლასის კურიკულუმები ხარვეზებითაა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო კათედრაზე თანამშრომლობით შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ძირითადად სრულად არის დაფარული ყველა სავალდებულო თემები. სწორედ არის ასახული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ურთიერთმიმართება, შესაბამისი რესურსები; ასევე რიგ შემთხვევაში ჩანს კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის.

უცხოურ ენაში სკოლას წარმოდგენილი აქვს უმეტესად კომპლექსური დავალებებით დაგეგმილი სასწავლო პროცესის ამსახველი კურიკულუმები, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებელი წარმოადგენს მხოლოდ ფასილიტატორის როლს, მოსწავლე კი კეთების პროცესში ახდენს ცოდნის კონსტრუირებას. ამგვარი მიდგომით აქტიურდება კიდევაც კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები. დაწყებითი საფეხურის თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და შეესაბამება ენობრივი ცოდნის დონეს. მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. მაგალითად, დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენის მესამე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება ითვალისწინებს ისეთი პროდუქტის შექმნას, როგორიცაა პოსტერი თემაზე „მხიარული უქმეები ზოოპარკში“, მოსწავლეს საორიენტაციოდ მოცემული აქვს მაგალითი შედარებისთვის, რომლის მიხედვითაც შეძლებს დამოუკიდებლად გაართვას თავი აღნიშნულ დავალებაზე მუშაობას, მიწოდებული აქვს დამატებითი რესურსებიც, რაც ასევე ზრდის მისი ავტონომიურობის ხარისხს. ამავე დროს, დავალების პირობა ეფუძნება მისთვის ნაცნობ კონტექსტს. საბოლოო პროდუქტზე მუშაობისას, ის გამოიყენებს იმ ენობრივ საშუალებებს და მიმართავს იმ სამეტყველო ქმედებას, რაც მოსწავლის საკომუნიკაციო უნარებს განავითარებს. აღნიშნული მიდგომა შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის მაგალითად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში, ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში განსაზღვრულია სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ასეთი დავალებების განხორციელების ეტაპზე აუცილებელია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების დამუშავება საგნობრივი საკითხების დამუშავების ფარგლებში. თუმცა, სკოლას ყველა კლასისთვის არ აქვს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, ხოლო წარმოდგენილ კურიკულუმებში იკითხება ბევრი ხარვეზი. მაგრამ მიუხედავად ამისა (არასრულყოფილად წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე) წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ,რომ სკოლა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს განუვითარებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება.

აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩოებში სრულად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული საბუნებისმეტყველო საგნების სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. სწორადაა შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენა. კომპლექსური დავალების პირობები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლეებს უვითარებს ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივსტული პრინციპით ნაცნობი კონტექსტთან კაცშირში. ამრიგად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები ს ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე.
უცხოურ ენებში წარმოდგენილი კურიკულუმების უმეტესობა გამდიდრებულია კომპლექსური ბუნების დავალებებით, შესაბამისად, სასწავლო პროცესი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალების პირობები კი ისეთ საკითხებზე მუშაობას მოიაზრებს, რომლებიც ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს: მაგალითად, კომიქსი საყვარელ გმირზე, პოსტერი ცნობილ ადამიანებზე, პრეზენტაცია თემაზე "ჩემი საყვარელი ცხოველი", ინტერვიუ თემაზე "ერთი ჩვეულებრივი დღე - One Typical Day" და სხვ. ააქტიურებს ისეთ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა და სხვ.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
სკოლის მიერ წარმოდგენილია ერთ-ერთი კათედრის შემაჯამებელი დავალების ანალიზი. ასევე, წარმოდგენილია მე-6 კლასის დიაგნოსტიკური წერის რეფლექსია, დაკვირვების ფორმა და სადიაგნოსტიკო ტესტი, რომელიც გენერირებულია „კარგი სკოლიდან". ასევე, წარმოდგენილია 34 მოსწავლიდან ერთ-ერთის ისგ-ს ნიმუში, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვისას უპირველესად მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებენ. სკოლაში შექმნილია მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლისათვის.

საბუნებისმეტყველო კათედრაზე სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,რადგან კათედრას აქვს გამოცდილება და ამ ეტაპზე მუშაობს კოპლექსური ტიპის დავალებებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. აღნიშნული მიდგომები ასახულია კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლას აქვს შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ორიენტირებულია კონკრეტული უნარების განვითარებაზე. გეგმის განხორციელების პროცესში ხდება მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასებაც.

მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში ისეთი კომპლექსური დავალებებია დაგეგმილი და შერჩეულია ისეთი რესურსი, რომელიც სასწავლო პროცესის მრავალფეროვნად წარმართვას გულისხმობს. სასწავლო მიზნები იმგვარადაა გაწერილი, რომ შესაძლებელი ჩანს მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა არჩევანის გაკეთება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობის დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. ისიც აღინიშნა რომ არის ხოლმე იმგვარი შემთხვევები როდესაც დაწყებით საფეხურზე სსსმ მოსწავლეს ხელოვნებასა და მუსიკაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ესაჭიროება საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე. Თუმცა , ამ შემთხვევაში მუსიკაშიც და ხელოვნებაში მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ისგ-ც დაწყებით საფეხურზე, რომელშიც მასწავლებლის კურიკულუმი მოსწავლის საჭიროებების მიხედვით არის მოდიფიცირებული. ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა რამდენიმე კომპლექსური დავალების შესაბამისი სოლო ტაქსონომიით შეფასების რუბრიკა, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებზე-გრძელვადიან მიზნებზე; წარმოდგენილია მე-5 და მე-6 კლასებისთვის როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ იგეგმება დანარჩენი თემების და კლასებისთვის შეფასების ნიმუშები წარმოადგინონ სექტემბრამდე. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. ფასდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი; ხოლო განმავითარებელი შეფასებით დგინდება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, იყენებს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. წარმოდგენილია „სოლო“ ტაქსონომიით შეფასების ამსახველი რუბრიკები. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მართალია, სკოლის დაწყებითი კათედრის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მეტად დაკონკრეტებას მოითხოვს, თუმცა აქვე დართულია შეფასების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საბუნებისმეტყველო კათედრაზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება არ მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, თუმცა პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე შესასწავლი ზოგიერთი თემების ფარგლებში საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკისა და კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით შემუშავებული შეფასების რუბრიკები არ არის შესაბამისი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შემუშავებულ შეფასების რუბრიკებთან. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი, მასში გაწერილი არ არის თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით, ამიტომ ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მოსწავლეთა მიღწევების გაზომვას.

უცხოური ენების მიმართულებით წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები უნდა მიემართებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შედეგებს, რათა მოხდეს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება.წარმოდგენილია სოლო ტაქსონომიის მიხედვით მოსწავლის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. უნდა მოხდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა ასევე გრძელვადიან მიზნებთან მიმართებითაც. ამიტომ, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან არ ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს ან მომავალში გაითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე სასკოლო საზოგადოება იმუშავებს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შედგენაზე, თუმცა თვითშეფასებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლა კურიკულუმის დაგეგმვას აპირებს წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე. მნიშვნელოვანია პარალელური კლასების გამოცდილების გაზიარებაც, რაც ასევე გამოჩნდა თვითშეფასებაში და კათედრასთან ინტერვიურების პროცესშიც. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა მათემატიკის დაწყებით კათედრაზე ითვალისწინებს წინარე გამოცდილებასა და მისი ანალიზის შედეგებს, აუცილებელია რეფლექსიის/დიაგნოსტრირების ინსტრუმენტის შემუშავება/განხორციელება, რათა სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს მოსწავლის შედეგების ანალიზი. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

- დასტურდება (მტკიცებულებები):
- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- კურიკულუმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა (შემაჯამებელი დავალების ანალიზი)
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- ისგ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
1.მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ნაწილობრივ იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; ეს დასტურდება იმით, რომ სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეპიზოდურად და არა სისტემურად ხორციელდებოდა. თემატური მატრიცები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად, თუმცა, საგანთა უმეტესობაში, საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები შევსებულია ზერელედ, სტიქიურად და განსხვავებული ფორმებით. უმეტესად შეფასების რუბრიკები არ ემთხვევა რეკომენდირებულ და აკადემიურ ინფორმაციას. ერთი საგნის კურიკულუმის ჩარჩოების სხვადასხვაგვარად შევსებული ვერსიებიც ადასტურებს იმას, რომ არა თუ კათედრათა შორის, არამედ კათედრის წევრებს შორისაც არ არსებობს ეფექტიანი კომუნიკაცია და კოლაბორაცია. ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საკლასო გარემო არის პოზიტიური და მოწესრიგებული, სასწავლო რესურსებით რამდენადმე უზრუნველყოფილი. უშუალოდ კურიკულუმში მოცემული მიზნებიდან გამომდინარე, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული სხვა ინფორმაციებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საბუნებისმეტყველო საგნების საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები,რომლებიც საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება ხუთ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპს შესაბამისად მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს აქტურად შემოქმედებით პროცესებში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლაში მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. სწავლება მიმდინარეობს პოზიტიურ სასწავლო გარემოში და მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება.

რადგანაც უცხოურ ენებში წარმოდგენილი კურიკულუმები ძირითადად კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებებს ეფუძნება, მოსწავლე იქნება შემოქმედებით პროცესში ჩართული. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების კათედრა ცდილობს მოსწავლეთა ჩართვას სხვადასხვა შემოქმედებით ღონისძიებებში, მაგალითად ჯანსაღი ცხოვრების წესის თემატიკას მიუძღვნეს მოსწავლეებმა კოსტუმირებული წარმოდგენა და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

საფეხურზე, სკოლის კათედრებს ნაწილობრივ ისე აქვთ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, სამიზნე ცნება, მიმართულებები, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების პირობები, საკითხები თუ რესურსები, რომ ბუნდოვანია ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების განხორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკაში არსებობს კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის გამოცდილება, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, არ არის წარმოდგენილი გააზრებულად ეტაპები, ნაბიჯები და აქტივობები. მართალია, წარმოდგენილია ისეთი შემთხვევები, როცა დავალება შეიცავს პერფორმანსს, ახალი პროდუქტის შექმნის გამოწვევას, არსებობს კონტექსტზე დაფუძნების შემთხვევებიც, მაგრამ უზრუნველყოფილი არ არის/არ ჩანს ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების გამოკვეთილი საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო კათედრაზე პედაგოგებთან გასაუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი მიმდინარეობს ეპიზოდურად, თუმცა იმისთვის, რომ მოსწავლე დაეუფლოს სწავლის სტრატეგიებს და შემოქმედებითი პროდუქტი შექმნან გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში, აუცილებლად უნდა გაიწეროს ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით კურიკულუმის დანართი, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპლექსური დავალებების მიხედვით წარმოდგენილი იქნება ცოდნის აგების პრინციპი და სწავლა განხორციელდება კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე. ნაკლებია აქცენტი სწავლის სწავლაზე და მეტაკოგნტური უნარების განვითარების წინაპირობა. საფეხურის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილების გეგმებიდან და შეფასების რუბრიკებით ჩანს, რომ არ გამოიყენება სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი მეთოდები დამოუკიდებლად ცოდნის ასაგებად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
სკოლის წარმომადგენლობა ეროვნულ სასაწვლო გეგმის მოთხოვნის საფუძველზე საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. საგნობრივი კურიკულუმები და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური აქტივობები ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ნაკლებად ამოიცნობა. ცხადია, სწორად განხორცილებულ სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს, გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითად სკოლას აქვს გამოცდილება, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები და შესაბამისი აქტივობების განხორციელება. საფეხურზე სწავლების დროს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებული დავალებები წარმოდგენილია სხვადასხვა სახით, რომლებიც არასტრატეგიულად, სტიქიურად რამდენადმე უწყობს ხელს როგორც დეკლარაციულ, ისე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. ინტერვიუში მასწავლებლები ამ პროცესებზე საუბრობენ. უცხოურ ენებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები ისეა გაწერილი, რომ მოხდეს მოსწავლეების ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება. მაგალითად, დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენის მეორე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალება, სადაც მოსწავლეებმა უნდა წარმართონ დიალოგი თემაზე "ჩემი საყვარელი წიგნი" (გაიხსენე წაკითხული წიგნებიდან რომელს გამოარჩევდი სასაუბროდ, რა ჟანრისაა, რატომ მოგეწონა, რით დაგაინტერესა, როგორები არიან პერსონაჟები და ა.შ.), ამ დავალებაზე მუშაობისთვის მოსწავლეებს დასჭირდებათ როგორც ფაქტობრივი ცოდნა საკითხთან მიმართებაში, ასევე კონკრეტული ლექსიკური და გრამატიკული ერთეულების სწორად გამოყენება, საკუთარი მოსაზრების გადმოცემა, მისი არგუმენტირება- როდის და რატომ კითხულობს ამ წიგნს და სხვ. აღნიშნული ტიპის დავალებები უზრუნველყოფს იმას, რომ სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე იყოს ორიენტირებული.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
სკოლა იდეის დონეზე აცნობიერებს, რომ ესგ-ს შესაბამისი თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები ის შესაძლებლობები და სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პრეცენდენტები ჩანს სკოლაში განხორციელებული აქტივობებით. თუმცა იმისთვის, რომ მოსწავლეებმა ურთიერთდაკავშირებული და ორგანიზებული ცოდნა ააგონ, აუცილებელია ცოდნის სამი კატეგორიის მიხედვით კომპლექსური დავალებების განხორცილება სისტემატურად, რადგან მოსწავლემ პირობისეული ცოდნის მიხედვით შეძლოს ცოდნის განზოგადება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **კომპლექსური დავალებების ნიმუშები;**
- **2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **შემაჯამებელი დავალების ნიმუში/ანალიზი;**
- **მასწავლებელთა რეფლექსიები ინტერვიუს დროს;**
- **გაკვეთილების გეგმები;**

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

კურიკულუმის ჩარჩოში შუალედური (საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, იდეა, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, საფეხურის შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესში ნაწილობრივ უზრუნველყოფილი იქნება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. მასწავლებლებს ეპიზოდურად სწორად აქვთ მითითებული საკითხები, ცნებები, ქვესაკითხები. დადასტურდა გასაუბრებისას ის, რომ სკოლას აქვს პოტენციალი, სასწავლო გეგმის ჩარჩო გამართულად შექმნას. საგნობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმი ნაწილობრივ ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებული/სარეკომენდაციო თემები, მიმართულებები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები. მეორე მხრივ, ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსურ დავალებებსა და მათ რეფლექსიებში სკოლის პოტენციალი, რაც პერსპექტივაში იმედს იძლევა. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი ნაწილობრივ უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას. აღნიშნული აღწერა საერთოა ყველა საგნობრივი ჯგუფისათვის,

აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო საგნებში სასწავლო პროცესი ნაწილობრივ უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რადგან საგნობრივ კურიკულუმებში, სამივე საგანში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება. თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები თუმცა, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები წარმოდგენილია ნაწილობრივ,არ არის წარმოდგენილი მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
მოსწავლის კოგნიტურ განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-კულტურულ-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სკოლა მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოს ქმნის ისეთი პროექტებისა და არაფორმალური აქტივობებით, რომლებიც 21-ე საუკუნის კომპეტენციებსა და გლობალურ უნარებს ავითარებს. მდგრადი შედეგების მისაღწევად სწავლა-სწავლების პროცესს ესაჭიროება მუდმივი მონიტორინგი, თვითრეფლექსია და პროფესიულ განვითარებაზე აქტიური მუშაობა. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები, რომ სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა იმისთვის, ეს პროცესი გაზომვადი იყოს, აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე, კურიკულუმში აქტივობები ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების/პროექტების განხორციელების პროცესში თანმიმიდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხვები ესმით, გააზრებული აქვთ. მათ აღნიშნეს, რომ კოსასწავლო პროცესს ისე წარმართავენ, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს დაეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილ კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც ძირითადად სხვადასხვა ტიპის პროდუქტით განისაზღვრება, აქტივობების განხორციელების პროცესში მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. ამისათვის წარმოდგენილია ხარვეზიანი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შერჩეული განმავითარებელი შეფასებათა ინსტრუმენტები ხელს ნაწილობრივ უწყობს მოსწავლის წინსვლას. ხარვეზიანი და არასწორად შექმნილი რუბრიკები ვერ უქმნის მოსწავლეს სწავლის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას და არ ზრდის მოტივაციას. მასწავლებელთა მიერ აღნიშნული ინფორმაცია, რომ კომპლექსური დავალებების ბოლოს შეფასებას კეთდება სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით, ქმნის ფასადურობის განცდას, რადგან სოლო ტაქსონომია არა ცნებებს, არამედ საკითხისადმი უნდა განიხილებოდეს. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, ნაკლებია სანდოობის, გამჭირვალობისა და ვალიდურობის განცდა. ამგვარი მიდგომა შეფასებას ხდის ნაკლებად გამჭირვალეს, ობიექტურსა და სამართლიანს. რაც სკოლაში მხარდამჭერი მექანიზმების უზრუნველყოფის საფუძველია. იკვეთება საგნები, რომელთა სწავლებაც არ არის მკაფიოდ კავშირში საგნობრივ სტანდარტებთან. ეს, შესაძლოა, ერთი მხრივ განპირობებული იყოდ სტანდარტის შედეგების ცვლილებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლები ავლენენ აღნიშნული შეფასების მეთოდოლოგიურ ცოდნას, ესმით განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მოტივაციის მიზნით შეფასების დადებით ასპექტებზე აკეთებენ აქცენტირებას, შემდეგ კი _ გასაუმჯობესებელ მხარეზე. ამრიგად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად კათედრები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, 1-4 კლასის ჩათვლით ძირითადად განმავითარებელი შეფასებები არის ზეპირი კომენტარის სახით, წლის ბოლოს განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასებით. მე-5-6 კლასებში განმავითარებელი შეფასებისთვის ზეპირი კომენტარით შემოიფარგლებიან, თუმცა მათი დახვეწა აუცილებლია და გასათვალისწინებელია ის რეკომენდაციები, რომელსაც გასცემს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. კერძოდ, რუბრიკებში ნათლად უნდა იყოს ასახული, რომელ ინდიკატორს მიემართება შეფასება. ის აპექტი, რომ შეფასების სისტემის შერჩევა ხდება ესგ-ზე დაყრდნობით, მას უფრო ვალიდურსა და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისს ხდის. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში შეფასების თითოეულ კრიტერიუმს აქვს მინიჭებული ქულა, შესაბამისად, მოსწავლემ იცის პირობითად, ზუსტად რა კრიტერიუმის მიხედვით რამდენ ქულას იმსახურებს. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგებმა ერთად შექმნეს სტანდარტზე დაყრდნობით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ერთობლივი მუშაობას კი შეცდომები მინიმუმამდე უნდა დაჰყავდეს, რაც ზოგიერთი საგნის შეფასებათა რუბრიკაში არ ჩანს. სკოლის მიერ მოწოდებული მომავალი და მიმდინარე წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, არ არის გაწერილი, თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები (გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), სკოლას მიეცა რჩევა მე-5-6 კლასებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ნათლად ასახოს, რომელ ინდიკატორს მიემართება შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

საგნობრივ კათედრებზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის. სკოლა გეგმავს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას. მასწავლებელითან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მათ აქვთ მომავლის ხედვა თუ როგორ უნდა მოახდინონ დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი. ვერიფიკაციის მექანიზმი, როგორც სტრუქტურირებული დოკუმენტი არ არსებობს, რადგან არ არსებობს ყველა საგანში შეფასების რუბრიკების ისეთი საპილოტე ვერსიები, რომლებიც ზუსტად გამოხატავს შეფასების ხელოვნების ფლობას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სამომავლოდ შემოწმდება:

სწავლის შედეგების საფეხურის შედეგებთან შესაბამისობა;
მოსწავლეთა მიღწევების შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების შესაბამისობა;
რამდენად უზრუნველყოფს სწავლების ფორმატი და მეთოდები დასახული მიზნების მიღწევას;
როგორ არის დაგეგმილი სწავლების პროცესი და რა მატერიალურ-ტექნიკური თუ ადამიანური რესურსით არის უზრუნველყოფილი იგი;
რამდენად რაციონალურადაა შედგენილი საგაკვეთილო ცხრილი;
ადეკვატურად არის თუ არა შერჩეული სწავლების მეთოდები და ფორმატი;
თანხვედრაშია თუ არა სწავლის მიზნები, სასწავლო პროგრამის შინაარსი და მისაღწევი შედეგები;
შესაბამისობაშია თუ არა კონტექსტ-მაგალითები სწავლების პროცესთან.
როგორ ხდება და რამდენად გამჭვირვალეა მოსწავლეთა მიღწევების შეფასება და სხვ.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლისათვის უფრო მკაფიოდ გაწერენ ვერიფიკაციის მექანიზმებს, რისი თეორიული ცოდნაც არის მასწავლებლებში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2023 წლის 01 ოქტომბერი) ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილი.**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. დირექტორის სამართლებრივ - ადმინისტრაციული ბრძანებით განსაზღვრული აქვს ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. კათედრის მიერ მოსწავლეთა მიერ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით, თუმცა ეს პროცესი უფრო არასტრატეგიული და სპონტანურია. საჭიროა მეტად დაიხვეწოს, რადგან წარმოდგენილი მონაცემების შესწავლის შემდეგ მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე ცვლილებები უნდა შევიდეს ახალ კურიკულუმში. იკვეთება მზაობა, რომ სკოლა სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაცვას და გაატერებს შესაბამის ზომებს ანუ 2023-2024 სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემს/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩოები
- განმავითარებელი და განმსაზრვრელი შეფასების რუბრიკები
- მოსწავლის ნამუშევრის ანალიზი
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რადგან სკოლაში სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი შემდეგი საკითხები:

- სკოლის პრიორიტეტებსა და საჭიროებებზე მორგებული საათობრივი ბადე;
- მოსწავლეთა პიროვნული ზრდაზე ორიენტირებული საგნობრივი პროგრამები
- აკადემიური მიღწევების შეფასების წესები
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აღსანიშნავია, რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს თანამშრომლობითი ურთიერთობები. კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება რათა გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომებით შეძლონ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე ზრუნვა და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარება. სკოლას მიეცა რჩევა, გააანალიზონ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგები როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების დონეზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 წლის სასწავლო გემაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მისიაა: დაწყებით საფეხურზე ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;
გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.
საბაზო საფეხურზე - საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძველების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის;
საშუალო საფეხურზე - ა) საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სკოლაში მოსწავლე თავად არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი, რადგან ხშირ შემთხვევაში მიმდინარეობს კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება და ხდება მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების პროგრესის შეფასება: (სკოლას საგნებში აქვს კონტექსტ მაგალითზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლის ცოდნის დონის აღწერა განმავითარებელი კომენტარით, ზეპირსიტყვიერად)
მნიშვნელოვანია აღინიშნოს,რომ მოსწავლეთა სწავლება მიმდინარეობს დიფერენცირებული მიდგომებით სკოლაში. მოსწავლეთა მოტივაციის, ჩართულობისა და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისთვის მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა სასწავლო პროექტებში ინტერესების, საჭიროებების და შესაძლებლობების შესაბამისად. სკოლაში ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. სკოლას მიეცა რჩევა შექმნან მოსწავლის და მასწავლებლის პორტფოლიო, მოხდეს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი და ანგარიში მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე, შექმნან საგნობრივი წრეები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველში შეგვიძლია დავასკვნათ რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეებზეა ორიენტირებული. ამ ამოცანის შესასრულებლად ძალზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კომპლექსური დავალებებია, რომელიც მოსწავლეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სწავლის სწავლის, კვლევის, წინარე და ცხოვრებისეული გამოცდილების საშუალებას აძლევს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ 2022-2023 სასწავლო წელს ყველა საგანში იგეგმება კომპლექსური დავალების განხორციელება. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილ დკოკუმენტაციაზე დაყრდნობით ვიგებთ რომ სკოლაში ხორციელდება ისეთი სასწავლო პროექტები, რომელებიც ზრდის მოსწავლეების მოტივაციას და უვითარებს მათ უმნიშვნელოვანეს, 21-ე საუკუნის უნარებს.
ასევე, სკოლის მიერ განხორციელბული ძალზე მნიშვნელოვანი, მასშტაბური პროექტი იყო „ჩვენ ერთად შევძლებთ“, რომლის მიზანისც ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა, აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეთა სოციალიზაციის პროცესი გაუმჯობესება იყო. ამ პროექტში ჩართული იყო ყველა ასაკობრივი ჯგუფი და მთელი სასკოლო საზოგადოება - მასწავლებლები, მშობლები. პროექტის შედეგადაც შემცირდა სსსმ მოსწავლეთა მიმართ სკოლის დამოკიდებულებით უკმაყოფილო მშობელთა რიცხვი, გამოიკვეთა 3 რისკის ჯგუფის მოსწავლე, 4 აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლის მშობელმა შეიძინა შესაბამისი ცოდნას, ამაღლდა პედაგოგთა და სპეცპედაგოგის კვალიფიკაცია, ამაღლდა მშობელთა ცნობიერება გაუმჯობესდება ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობა, მოეწყო მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული რესურსოთახი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ინტენსიური ხასიათი აქვს კომუნიკაციას. სხვადასხვა საგნობრივ კათედრებზე და კათედრებს შორის ხდება შეხვედრები მოსწავლეთა ცოდნის დონის, სასწავლო პროცესში წარმოქმნილი პრობლემების და გამოცდილების გაზიარების მიზნით. სასკოლო საზოგადოებაში ხშირ შემთხვევაში დამკვიდრებულია თანამშრომლობა და გუნდურობა, რაც თანამშრომლობის პროცესს ეფექტურს ხდის. სკოლას მიეცა რჩევა, შექმნან მოსწავლისა და მასწავლებლის პორტფოლიო, მოხდეს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი და ანგარიში მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე.

პირადმა ინტერვიუებმა კიდევ უფრო დაადასტურა ის რომ ზოგიერთი კათედრის პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აქვთ მუდმივი კომუნიკაცია, განიხილავენ სასწავლო პროცესს, შეფასებებს, კომპლექსურ დავალებებს და სხვა. თანამშრომლობაზე მოწმობს ისიც რომ სკოლამ განახორციელა რამდენიმე სასკოლო პროექტი რომელშიც მთელი სასკოლო საზოგადოება იყო ჩართული.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.
სასკოლო საზოგადობაში განვითარებულია სასკოლო თანამშრომლობითი კულტურა: სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო კლუბი, სადაც განხორციელებული პროექტები ახდენს: ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციას, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისებას,მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართულ აქტივობებს. სკოლაში განხორციელებული რიგი პროექტებიც პოზიტიური კლიმატს განაპირობებს. მაგ., სკოლში განხორციელებული ერთ ერთი პროქტი „გავერთიანდეთ კონფლიქტის წინააღმდეგ“ მთავარი მიზანი იყო სკოლაში თანამშრომლური კულტურის, სასკოლო კლიმატის გაჯანსაღება. კონფლიქტების შესახებ ცოდნის ამაღლება, კონფლიქტების პრევენცია და მისი გადაჭრის გზების ძიება, რაც მოსწავლეს აღჭურავს ცხოვრებისთვის ქმედითი უნარ-ჩვევებით. კონფლიქტის არსის შესახებ მოსწავლეთა, მასწავლებლების, მშობლების ცნობიერების ამაღლება, კონფლიქტების ამოცნობა, მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დახასიათება, პრაქტიკული მაგალითების განხილვა, ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება, ასერტულობის განვითარება კონფლიქტების თავიდან აცილების გზით. პროექტში ჩართული იყო ყველა საგნობრივი კათედრა, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის IT მენეჯერი, სკოლის ბიბლიოთეკარი.
ასევე პროექტი „მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება (ტოლერანტობა)", რომლის მიზანიც იყო მოსწავლეებში ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრება და ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება.
საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი, რომლის მიზანია მოსწავლეთა წიგნიერებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სხვადასხვა საგნის კურიკულუმის ჩარჩოები
- სკოლის შინაგანაწესი
- სასაწავლო პროექტი:ბუნებისმეტყველებაში (V კლ) განხორციელებული პროექტი: „ნარჩენების მართვა- გარემოს მდგრადი განვითარებისთვის"
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა ბუნებისმეტყველებაში(VI კლ)
- სასწავლო პროექტები: სამოქალაქო კლუბის მიერ განხორციელებული პროექტები
- ინტერვიუ/ფოკუს-ჯგუფის ფორმატში

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
სკოლაში მონიტორინგი და შეფასება მომავალი სასწავლო წლიდან განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, სადაც კურიკულუმის განვითარება განიხილება, როგორც ციკლური პროცესი, რომელიც სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილია და მონიტორინგი და შეფასება კი სასწავლო პროცესის ეფექტიანობის განმსაზღვრელი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ განხორციელდება მომავალი სასწავლო წლიდან სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.
სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის ფრაგმენტულია. ზოგიერთი პედაგოგი ახორციელებს პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, თვითშეფასებას, მაგრამ არ ხორციელდება სადიაგნოსტო შეფასება. პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევისა და თვითშეფასების შედეგად გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეები, ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები არაა ასახული კურიკულუმში ცვლილებების სახით. სკოლას მიეცა რჩევა განახორციელოს მოსწავლეთა სადიაგნოსტო შეფასებები მასწავლებელთა თვითშეფასებასა და პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევასთან ერთად. კვლევის შედეგები უნდა აისახოს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები
- სამოქმედო გეგმა ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კურიკულუმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რის მიხედვით განსაზღვრულია პრინციპები, რაც ეფუძნება გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვასა და მხარდაჭერას, რის მიხედვით განსაზღვრულია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას რომელიც გულისხმობს: ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირებას; ბ) კომენტარს (დაზუსტება, წახალისება, შენიშვნა), რომელიც უზრუნველყოს მოსწავლის შემდგომ წინსვლას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით; გ) მოსწავლის თვითშეფასებას; დ) მასწავლებლის თვითრეფლექსიას. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ეს მიმართულებები დასახვეწია, რადგან გასხვავებული სურათი იკვეთება I- IV და V-VI საფეხურების მიხედვით, კერძოდ I- IV კლასების მიხედვით წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოები რიგ საგნებში, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (მაგ: ინგლისური), თუმცა V-VI კლასების მიხედვით კურიკულუმის ჩარჩოები საერთოდ არ არის შექმნილი (მაგ: ჩვენი საქართველო, მათემატიკა), რაც ცხადია გამოსასწორებელია, რადგან გრძელვდიანი მიზნის ფარგლებში სასწავლო პროცესი დაიგეგმოს და განხორციელდეს, ხოლო მასწავლებელმა ეფექტური განმავითარებელი შეფასება აწარმოოს. თუმცა ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ოთხი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტიდან შერჩეული ერთ-ერთის მიხედვით რამდენიმე წერის ჩატარებას. რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით მათ ჰოლისტურ შეფასებას/განვითარებას. შესაბამისად I-IV კლასის მიხედვით სრულად შესაბამისობაა, ხოლო V-VI კლასების მიხედვით კათედრები ახალი სასწავლო წლისთვის რულად მოახდენენ კურიკულუმების დახვეწას, რაცა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა,რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ შექმნილი მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით წარმოდგენილია, რომ მოსწავლეთა მიღწევების უკეთ გასაანალიზებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას, თუმცა დაწყებით საფეხურზე რიგ საგნებში განსხვავებული სიტუაციაა კერძოდ I- IV კლასებში შექმნილია კურიკულუმის ჩარჩოები და ზოგიერთ საგანში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (მაგ: უცხოური ენები), თუმცა V-VI კლასების ჩვენი საქართველოსა და მათემატიკის მიხედვით კურიკულუმის ჩარჩოები წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად არ არის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და კომენტარის სახით ნიმუშები, ასევე მე- V- კლასის მეორე სემესტრისა და VI კლასის მიხედვით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ფოკუს ჯგუფთან ინტერვიუს პროცესში პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ დაწყებით საფეხურზე, კერძოდ V-VI არსებობს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა მისი წარმოდგენა გონივრულ ვადაში ვერ მოახდინეს ჩვენი საქართველოს საგნობრივ კურიკულუმებთან ერთად. შესაბამისად სკოლამ ახალი სასწავლო წლისთვის უნდა შექმნას V-VI კლასის კურიკულუმის ჩარჩოები რიგ საგნებში: ჩვენი საქართველო, მათემატიკა, ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება, რათა მრავალფეროვან მასალებზე დაყრდნობით შეძლონ მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი. რაზეც ინტერვიუს პროცესში აქცენტები გააკეთეს პედაგოგებმა და სამუშაო ჯგუფებში/კათედრებზე ახდენენ პრაქტიკულ მუშაობას. მნიშვნელოვანია, რომ მაგალითად, უცხოურ ენებში წარმოდგენილ შემაჯამებელ დავალებაში სტანდარტის შედეგების ინდექსები მითითებული იყოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით და არა ძველი ესგ-ის სტანდარტის მიხედვით. აქვე აღსანიშანავია, რომ უცხოური ენის კათედრის წევრები იცნობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, დაწყებით საფეხურზე ინგლისურ ენაში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების ნიმუში სოლო ტაქსონომიის მიხედვით. რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლას გააზრებული აქვს შეფასების მექანიზმის სპეციფიკა და ახალი სასწავლო წილისთვის სრულად დახვეწავს ყველა საგნობრივი მიმართულებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა მიღწევების ანალიზისთვის მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და სტრატეგიები ყველა საფეხურის მიხედვით შემუშავებული არ არის და/ან დახვეწას საჭიროებს. I- IV კლასების მიხედვით წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, თუმცა V-VI კლასების მიხედვით კერძოდ ჩვენი საქართველო და მათემატიკის მიხედვით კურიკულუმებთან ერთად შესაქმნელია შეფასების რუბრიკები. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ამ მხრივ მუშაობენ და ახალი სასწავლო წლისთვის მრავალფეროვანი მეთოდების მიხედვით მოახდენენ მოსწავლეთა მიღწევების შეფასებას, ამისთვის შერჩეული აქვთ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი რის განხორციელებას რამდენიმეჯერ გეგმავენ. რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ სკოლას აქვს პოტენციალი და შესაბამისობაში მოდის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია, რომ მოსწავლეთა მხარდაჭერისა და მიღწევების ზრდის მიზნით შეფასება მრავალფეროვანი სტრატეგიებით განხორციელდება, რა დროსაც აუცილებელია დიფერენცირებული მეთოდების გათვალისწინება. თუმც ამ მხრივ დაწყებით საფეხურზე განსხვავებული სიტუაცია, კერძოდ I-IV კლასის მიხედვით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა V- VI კლასის მიხედვით შეფასების რუბრიკები და კურიკულუმის ჩარჩოები შესაქმნელია კერძოდ ჩვენი საქართველოს მიხედვით. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის ამ მხრივ მუშაობა მიმდინარეობს და გარკვეული გამოცდილება არსებობს სასკოლო საზოგადოებაში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება მომდევნო სასწავლო წლისთვის რათა უკეთ ჩამოყალიბდეს კურიკულუმი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის სასკოლო საზოგადოება გამოკვეთს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს. ამავე დროს, საჭიროებების კვლევის შედეგად გამოვლენილ გამოწვევებს, წლის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას კურიკულუმის განვითარების საფუძვლად აქცევს. შედეგად შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. სკოლას მიეცა რჩევა:განახორციელოს კვლევა სკოლის პრიორიტეტებისა და მოქმედების არეალის გამოსაკვლევად.სკოლამ შექმნას სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის მათი ჩართულობის, პასუხისმგებლობის, მხადაჭერის ამსახველი გზამკვლევები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.
სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება მომდევნო სასწავლო წლისთვის რათა უკეთ ჩამოყალიბდეს შემდეგი წლის კურიკულუმი. ვიზიტისას ფოკუს- ჯგუფში გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს , რომ კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაგეგმილ და განხორციელებულპროცესებს შორის. მომავალი სასწავლო წლიდან მოხდება მოსწავლეთა შედეგების , მასწავლებლების დაგეგმილი და განხორციელებული პროცესების კვლევა კლასისა და საფეხურების დონეზე და კვლევის შედეგების აისახვა კურიკულუმში. კურიკულუმის რევიზიის პროცესში ჩაერთვება სრულიად სასკოლო საზოგადოება. სკოლას მიეცა რჩევა: სკოლამ განახორციელოს სასკოლო პროექტი, რომელშიც ყველა კათედრა მიიღებს მონაწილეობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმი
- ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინების შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ყურადღება მიექცევა სასკოლო საზოგადოების შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის ჩართულობით. ამის უზრუნველსაყოფად, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად, სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებას: ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, ბეჭდვით მასალებს, იყენებს საჯარო ღონისძიებებს ინფორმაციის გაზიარებისთვის, დამრიგებლების შეხვედრას მშობლებთან და სხვ.

სასკოლო კურიკულუმის განახლება წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე მოხდება, სადაც გაითვალისწინებენ გასული სასწავლო წლის მიგნებებს, გამოკვეთილ პრობლემებსა თუ საჭიროებებს. სკოლა სსსმ მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფისთვის შეიმუშავებს კურიკულუმს შესაბამისი რესურსების, შინაარსის, თუ აქტივობების შერჩევის გზით. ასევე სასკოლო საზოგადოების ჩართულობას უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება. სკოლა აცნობიერებს მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობას თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებისთვის და გეგმავს სამომავლოდ მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლასა და გამოკვეთას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები აისახება კურიკულუმში, რომლებსაც კონსულტაციების შედეგად ადგენს სკოლა და რომლის განხორციელებასაც აპირებს ახალი 2023-2024 სასწავლო წლისთვის. ასევე საგნობრივი კურიკულუმების ფარგლებში ხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება, რომელსაც საგნობრივი კათედრის მასწავლებლები გამოკვეთავენ განვლილი სასწავლო პროცესების ანალიზის და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად, ისინი მიმართავენ სხვადასხვა საშუალებას: მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, განმავითარებელ უკუკავშირს, ასევე მასწავლებელთა თვითრეფლექსიას. თითოეული საგნობრივი კათედრა სხდომებზე გაუზიარებს კოლეგებს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილ პრობლემებს, მიგნებებს, მოსწავლეთა შედეგებს და განიხილავს მათთან ერთად კურიკულუმში ცვლილებების შესატანად. საგნობრივი კურიკულუმები ძირითადად გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, ის ითვალისწინებს მოსწავლეთა ასკობრივ თავისებურებებს, მათ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. აღნიშნული ქმედებები მეტყველებს იმაზე, რომ სკოლა აცნობიერებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას სასკოლო ცხოვრებაში და აპირებს მუშაობას ამ მიმართულებით და მათი ინტერესების გათვალისწინებას სამომავლოდ.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიზნით, მოხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, რაც მოიაზრებს მათ ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კათედრის თავმჯდომარე ათანხმებს კათედრის წევრებთან, მოსწავლეების მიღწევებისა და სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის მოგროვების სტრატეგიებს, ის ასევე უზრუნველყოფს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალების შეგროვებას, და კათედრის სხდომების ჩატარებას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად. კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის მისი გადახედვა, და დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრებისა და სკოლის დირექციის მუშაობა. სკოლის განვითარებისა და მისი საჭიროებების კვლევის პროცესში ჩართულია მოსწავლეთა თვითმმართველობაც, თუმცა წარმოდგენილია მხოლოდ 2022-2023 წლის თვითმმართველობის დებულება.

საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები ჩართულები იყვნენ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესში, თუმცა ისინი არასრულადაა წარმოდგენილი. კერძოდ, უცხოურ ენაში, ფიზიკური აღზრდა და სპორტი.. გვხვდება თითქმის სრულად შევსებული კურიკულუმები, მაგრამ საგნებში : სახელმწიფო ენა, მათემატიკა სკოლას არ წარმოუდგენია გამართული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.

სკოლა იზიარებს რა თითოეული წევრის ჩართულობის მნიშვნელობას, გეგმავს ამ კუთხით გააძლიეროს მუშაობა და გამოიყენოს ანკეტირება/გამოკითხვა და სხვა საშუალებები, რათა მოახდინოს მშობლების, მოსწავლეების შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლა/გამოკვეთა სასწავლო პროცესებთან მიმართებით, რომ უზრუნველყოს კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებულია კურიკულუმი. სკოლას აქვს მშობლებთან ურთიერთობის სხვადასხვა საკომუნიკაციო ფორმა, როგორც სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ინდივიდუალური შეხვედრები, სოციალური ქსელის საშუალებით, მშობლის ბარათები და სხვ. სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროექტების, ღონისძიებების თუ სპორტული აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისთვის სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს. სკოლის ელექტრონული ფოსტა, სკოლის ღია სივრცე, საინფორმაციო დაფა, რომელზეც ახალი ინფორმაციის განთავსება ხდება სკოლის შიდა და გარე კომუნიკაციის საშუალებებია, რომლის საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა ინფორმირება და ასევე ეფექტური უკუკავშირის მიღება. დაწესებულება გეგმავს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად, მომავალშიც გამოიყენოს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის მე-7 და მე-9 კლასების კურიკულუმები, შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალება, კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მიწოდებული მატრიცებისა და კომპლექსური დავლაებების ნიმუშების მიხედვით, ცალკეულ შეთხვევებში კი მასწავლებელი ახდენს დავალების მოდიფიცირებას საჭიროების მიხედვით; თუმცა სკოლის კურიკულუმებში არ ჩანს მე-8 კლასის კურიკულუმი მათემატიკაში, ხოლო მე-7 და მე-9 კლასების კურიკულუმებს აკლია თემები, არის უზუსტობები.

აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო კათედრაზე თანამშრომლობით შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ძირითადად სრულად არის დაფარული ყველა სავალდებულო თემები (ქიმიის VIII ,IX, კლასები, ფიზიკის VII, VIII, IX კლასები, და ბიოლოგიის VII, VIII, IX კლასების). სწორედ არის ასახული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ურთიერთმიმართება, შესაბამისი რესურსები; ასევე რიგ შემთხვევაში ჩანს კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის.

უცხოურ ენაში სკოლას წარმოდგენილი აქვს უმეტესად კომპლექსური ბუნების დავალებებით დაგეგმილი სასწავლო პროცესის ამსახველი კურიკულუმები, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის როლს, მოსწავლე კი კეთების პროცესში ახდენს ცოდნის კონსტრუირებას. ამგვარი მიდგომით აქტიურდება კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები. საბაზო საფეხურის თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და შეესაბამება ენობრივი ცოდნის დონეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში არ არის ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, არ არის გაწერილი სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, არ არის შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში არ არის განსაზღვრულია სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ასეთი დავალებების განხორციელების ეტაპზე აუცილებელია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების დამუშავება საგნობრივი საკითხების დამუშავების ფარგლებში. თუმცა, სკოლას ყველა კლასისთვის არ აქვს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, ხოლო წარმოდგენილ კურიკულუმებში იკითხება ბევრი ხარვეზი. ამიტომ, სკოლის მიერ არასრულყოფილად წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე, სკოლა საბაზო საფეხურის მოსწავლეებს ყოველთვის ვერ განუვითარებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება.

აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს,რადგან კურიკულუმის ჩარჩოებში სრულად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული საბუნებისმეტყველო საგნების სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. სწორადაა შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენა. კომპლექსური დავალების პირობები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლეებს უვითარებს ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივსტული პრინციპით ნაცნობი კონტექსტთან კაცშირში. ამრიგად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები ს ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე.

უცხოურ ენებში წარმოდგენილი კურიკულუმების უმეტესობა გამდიდრებულია კომპლექსური ბუნების დავალებებით, ასევე თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, რესურსები, ქვეთემები, შესაბამისად სასწავლო პროცესი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილია ერთ-ერთი კათედრის შემაჯამებელი დავალების ანალიზი. ასევე, წარმოდგენილია მე-7 კლასის დიაგნოსტიკური წერის რეფლექსია, დაკვირვების ფორმა და სადიაგნოსტიკო ტესტი. ასევე, წარმოდგენილია 34 მოსწავლიდან ერთ-ერთის ისგ-ს ნიმუში, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვისას უპირველესად მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებენ. სკოლაში შექმნილია მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლისათვის.

საბუნებისმეტყველო კათედრაზე სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,რადგან კათედრას აქვს გამოცდილება და ამ ეტაპზე მუშაობს კოპლექსური ტიპის დავალებებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. აღნიშნული მიდგომები ასახულია კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლას აქვს შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ორიენტირებულია კონკრეტული უნარების განვითარებაზე. გეგმის განხორციელების პროცესში ხდება მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასებაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა რამდენიმე კომპლექსური დავალების შესაბამისი სოლო ტაქსონომიით შეფასების რუბრიკა, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებზე-გრძელვადიან მიზნებზე; წარმოდგენილია მე-7 და მე-9 კლასებისთვის როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ იგეგმება დანარჩენი თემების და კლასებისთვის შეფასების ნიმუშები წარმოადგინონ სექტემბრამდე. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. ფასდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი; ხოლო განმავითარებელი შეფასებით დგინდება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე სკოლა მოსწვალის შეფასების მექანიზმად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, იყენებს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. წარმოდგენილია „სოლო“ ტაქსონომიით შეფასების ამსახველი რუბრიკები. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლის საბაზო საფეხურის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც უფრო მეტად დაკონკრეტებას მოითხოვს, თუმცა აქვე დართულია შეფასების ანალიზიც, რაც ხელს შეუწყობს გრძელვადიანი მიზნებისკენ და მეთოდური ორიენტირებისკენ სვლას.

საბუნებისმეტყველო კათედრაზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება არ მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, თუმცა პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე შესასწავლი ზოგიერთი თემების ფარგლებში საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკისა და კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით შემუშავებული შეფასების რუბრიკები არ არის შესაბამისი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შემუშავებულ შეფასების რუბრიკებთან. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი, მასში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაწერილი არ არის თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით, ამიტომ ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მოსწავლეთა მიღწევების გაზომვას.

უცხოური ენების მიმართულებით წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები უნდა მიემართებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შედეგებს, რათა მოხდეს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება, რაც წარმოდგენილ შემაჯამებელი დავალების შეფასების ინდექსებში არ გამოიხატება, რადგან ძველი ესგ-ის მიხედვითაა დაწერილი. თუმცა წარმოდგენილია სოლო ტაქსონომიის მიხედვით მოსწავლის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. უნდა მოხდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა ასევე გრძელვადიან მიზნებთან მიმართებითაც.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან არ ჩანს, თუმცა თვითშეფასებიდან ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს და მომავალშიც გაითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე სასკოლო საზოგადოება იმუშავებს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შედგენაზე, მნიშვნელოვანია პარალელური კლასების გამოცდილების გაზიარებაც, რაც ასევე გამოჩნდა თვითშეფასებაში და კათედრასთან ინტერვიურების პროცესშიც. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა საბაზო საფეხურზე ითვალისწინებს წინარე გამოცდილებასა და მისი ანალიზის შედეგებს, აუცილებელია რეფლექსიის/დიაგნოსტრირების ინსტრუმენტის შემუშავება/განხორციელება, რათა სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს მოსწავლის შედეგების ანალიზი. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმი**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა (შემაჯამებელი დავალების ანალიზი)**
- **ისგ-ს ჯგუფის ოქმები**
- **შეფასებები და მათი ანალიზი (მოსწავლეთა ნაშრომები)**

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ნაწილობრივ იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; ეს დასტურდება იმით, რომ სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეპიზოდურად და არა სისტემურად ხორციელდებოდა. თემატური მატრიცები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად, თუმცა, საგანთა უმეტესობაში, საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები შევსებულია ზერელედ, სტიქიურად და განსხვავებული ფორმებით. უმეტესად შეფასების რუბრიკები არ ემთხვევა რეკომენდირებულ და აკადემიურ ინფორმაციას. ერთი საგნის კურიკულუმის ჩარჩოების სხვადასხვაგვარად შევსებული ვერსიებიც ადასტურებს იმას, რომ არა თუ კათედრათა შორის, არამედ კათედრის წევრებს შორისაც არ არსებობს ეფექტიანი კომუნიკაცია და კოლაბორაცია. ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საკლასო გარემო არის პოზიტიური და მოწესრიგებული, სასწავლო რესურსებით რამდენადმე უზრუნველყოფილი. უშუალოდ კურიკულუმში მოცემული მიზნებიდან გამომდინარე, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული სხვა ინფორმაციებით,

საბუნებისმეტყველო საგნების საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები,რომლებიც საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება ხუთ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპს შესაბამისად მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს აქტურად შემოქმედებით პროცესებში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლაში მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. სწავლება მიმდინარეობს პოზიტიურ სასწავლო გარემოში და მოსწავლეებს აქვთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება.

რადგანაც უცხოურ ენებში წარმოდგენილი კურიკულუმები ძირითადად კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებებს ეფუძნება, მოსწავლე იქნება შემოქმედებით პროცესში ჩართული. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების კათედრა ცდილობს მოსწავლეთა ჩართვას სხვადასხვა შემოქმედებით ღონისძიებაში, მაგალითად მათ გამართეს შექსპირის დღეები და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

საფეხურზე, სკოლის კათედრებს ნაწილობრივ ისე აქვთ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, სამიზნე ცნება, მიმართულებები, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების პირობები, საკითხები თუ რესურსები, რომ ბუნდოვანია ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკაში არსებობს კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის გამოცდილება, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, არ არის წარმოდგენილი გააზრებულად ეტაპები, ნაბიჯები და აქტივობები. მართალია, წარმოდგენილია ისეთი შემთხვევები, როცა დავალება შეიცავს პერფორმანსს, ახალი პროდუქტის შექმნის გამოწვევას, არსებობს კონტექსტზე დაფუძნების შემთხვევებიც, მაგრამ უზრუნველყოფილი არ არის/არ ჩანს ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების გამოკვეთილი საფუძველი.

აღსანიშნავია,რომ საბუნებისმეტყველო კათედრაზე პედაგოგებთან გასაუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი მიმდინარეობს ეპიზოდურად, თუმცა იმისთვის, რომ მოსწავლე დაეუფლოს სწავლის სტრატეგიებს და შემოქმედებითი პროდუქტი შექმნან გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში, აუცილებლად უნდა გაიწეროს ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით კურიკულუმის დანართი, სადაც კომპლექსური დავალებების მიხედვით წარმოდგენილი იქნება ცოდნის აგების პრინციპი და სწავლა განხორციელდება კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე. ნაკლებია აქცენტი სწავლის სწავლაზე და მეტაკოგნტური უნარების განვითარების წინაპირობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საფეხურის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილების გეგმებიდან და შეფასების რუბრიკებით ჩანს, რომ არ გამოიყენება სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი მეთოდები დამოუკიდებლად ცოდნის ასაგებად.
კურიკულუმის ჩარჩოებში მუსიკასა და ხელოვნებაში ისეთი კომპლექსური დავალებებია მოცემული, რომ ისინიც აუცილებლად გულისხმობს საწვლის სწავლას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სკოლის წარმომადგენლობა ეროვნულ სასაწვლო გეგმის მოთხოვნის საფუძველზე საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. საგნობრივი კურიკულუმები და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური აქტივობები ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ნაკლებად ამოიცნობა. ცხადია, სწორად განხორცილებულ სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს, გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითად სკოლას აქვს გამოცდილება, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები და შესაბამისი აქტივობების განხორციელება. საფეხურზე სწავლების დროს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებული დავალებები წარმოდგენილია სხვადასხვა სახით, რომლებიც არასტრატეგიულად, სტიქიურად რამდენადმე უწყობს ხელს როგორც დეკლარაციულ, ისე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. ინტერვიუში მასწავლებლები ამ პროცესებზე საუბრობენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
სკოლა იდეის დონეზე აცნობიერებს, რომ ესგ-ს შესაბამისი თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები ის შესაძლებლობები და სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პრეცენდენტები ჩანს სკოლაში განხორციელებული აქტივობებით. თუმცა იმისთვის, რომ მოსწავლეებმა ურთიერთდაკავშირებული და ორგანიზებული ცოდნა ააგონ, აუცილებელია ცოდნის სამი კატეგორიის მიხედვით კომპლექსური დავალებების განხორცილება სისტემატურად, რადგან მოსწავლემ პირობისეული ცოდნის მიხედვით შეძლოს ცოდნის განზოგადება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- **კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **კომპლექსური დავალებების ნიმუშები;**
- **2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;**
- **შემაჯამებელი დავალების ნიმუში/ანალიზი;**
- **მასწავლებელთა რეფლექსიები ინტერვიუს დროს;**
- **გაკვეთილების გეგმა;**

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

კურიკულუმის ჩარჩოში შუალედური (საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, იდეა, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, საფეხურის შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესში ნაწილობრივ უზრუნველყოფილი იქნება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. მასწავლებლებს ეპიზოდურად სწორად აქვთ მითითებული საკითხები, ცნებები, ქვესაკითხები. დადასტურდა გასაუბრებისას ის, რომ სკოლას აქვს პოტენციალი, სასწავლო გეგმის ჩარჩო გამართულად შექმნას. საგნობრივი კურიკულუმი ნაწილობრივ ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო/სარეკომენდაციო თემები, მიმართულებები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები. მეორე მხრივ, ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსურ დავალებებსა და მათ რეფლექსიებში სკოლის პოტენციალი, რაც პერსპექტივაში იმედს იძლევა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი ნაწილობრივ უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას. აღნიშნული აღწერა საერთოა ყველა საგნობრივი ჯგუფისათვის,

აღსანიშნავია,რომ საბუნებისმეტყველო საგნებში სასწავლო პროცესი ნაწილობრივ უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რადგან საგნობრივ კურიკულუმებში, სამივე საგანში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება. თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები თუმცა, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები წარმოდგენილია ნაწილობრივ,არ არის წარმოდგენილი მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე. ამიტომ მკაფიოდ ვერ იკვეთება სასწავლო პროცესის გრზელვადიან მიზნებზე ორიენტირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

მოსწავლის კოგნიტურ განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-კულტურულ-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სკოლა მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოს ქმნის ისეთი პროექტებისა და არაფორმალური აქტივობებით, რომლებიც 21-ე საუკუნის კომპეტენციებსა და გლობალურ უნარებს ავითარებს. მდგრადი შედეგების მისაღწევად სწავლა-სწავლების პროცესს ესაჭიროება მუდმივი მონიტორინგი, თვითრეფლექსია და პროფესიულ განვითარებაზე აქტიური მუშაობა. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები, რომ სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა იმისთვის, ეს პროცესი გაზომვადი იყოს, აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე, კურიკულუმში აქტივობები ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების/პროექტების განხორციელების პროცესში თანმიმიდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხვები ესმით, გააზრებული აქვთ. მათ აღნიშნეს, რომ კოსასწავლო პროცესს ისე წარმართავენ, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს დაეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილ კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც ძირითადად სხვადასხვა ტიპის პროდუქტით განისაზღვრება, აქტივობების განხორციელების პროცესში მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. ამისათვის წარმოდგენილია ხარვეზიანი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შერჩეული განმავითარებელი შეფასებათა ინსტრუმენტები ხელს ნაწილობრივ უწყობს მოსწავლის წინსვლას. ხარვეზიანი და არასწორად შექმნილი რუბრიკები ვერ უქმნის მოსწავლეს სწავლის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას და არ ზრდის მოტივაციას. მასწავლებელთა მიერ აღნიშნული ინფორმაცია, რომ კომპლექსური დავალებების ბოლოს შეფასებას კეთდება სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით, ქმნის ფასადურობის განცდას, რადგან სოლო ტაქსონომია არა ცნებებს, არამედ საკითხისადმი უნდა განიხილებოდეს. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, ნაკლებია სანდოობის, გამჭირვალობისა და ვალიდურობის განცდა. ამგვარი მიდგომა შეფასებას ხდის ნაკლებად გამჭირვალეს, ობიექტურსა და სამართლიანს. რაც სკოლაში მხარდამჭერი მექანიზმების უზრუნველყოფის საფუძველია. იკვეთება საგნები, რომელთა სწავლებაც არ არის მკაფიოდ კავშირში საგნობრივ სტანდარტებთან. ეს, შესაძლოა, ერთი მხრივ განპირობებული იყოდ სტანდარტის შედეგების ცვლილებით. ზეპირი ინტერვიუს დროს მასწავლებლები ავლენენ აღნიშნული შეფასების მეთოდოლოგიურ ცოდნას, ესმით განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მოტივაციის მიზნით შეფასების დადებით ასპექტებზე აკეთებენ აქცენტირებას, შემდეგ კი _ გასაუმჯობესებელ მხარეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად კათედრები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, 1-4 კლასის ჩათვლით ძირითადად განმავითარებელი შეფასებები არის ზეპირი კომენტარის სახით, წლის ბოლოს განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასებით. მე-5-6 კლასებში განმავითარებელი შეფასებისთვის ზეპირი კომენტარით შემოიფარგლებიან, თუმცა მათი დახვეწა აუცილებლია და გასათვალისწინებელია ის რეკომენდაციები, რომელსაც გასცემს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. კერძოდ, რუბრიკებში ნათლად უნდა იყოს ასახული, რომელ ინდიკატორს მიემართება შეფასება. ის აპექტი, რომ შეფასების სისტემის შერჩევა ხდება ესგ-ზე დაყრდნობით, მას უფრო ვალიდურსა და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისს ხდის. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში შეფასების თითოეულ კრიტერიუმს აქვს მინიჭებული ქულა, შესაბამისად, მოსწავლემ იცის პირობითად, ზუსტად რა კრიტერიუმის მიხედვით რამდენ ქულას იმსახურებს. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგებმა ერთად შექმნეს სტანდარტზე დაყრდნობით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

საგნობრივ კათედრებზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის. სკოლა გეგმავს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მათ აქვთ მომავლის ხედვა თუ როგორ უნდა მოახდინონ დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი. ვერიფიკაციის მექანიზმი, როგორც სტრუქტურირებული დოკუმენტი არ არსებობს, რადგან არ არსებობს ყველა საგანში შეფასების რუბრიკების ისეთი საპილოტე ვერსიები, რომლებიც ზუსტად გამოხატავს შეფასების ხელოვნების ფლობას.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლისათვის უფრო მკაფიოდ გაწერენ ვერიფიკაციის მექანიზმებს, რისი თეორიული ცოდნაც არის მასწავლებლებში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2023 წლის 01 ოქტომბერი) ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად "**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. დირექტორის სამართლებრივ - ადმინისტრაციული ბრძანებით განსაზღვრული აქვს ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. კათედრის მიერ მოსწავლეთა მიერ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით, თუმცა ეს პროცესი უფრო არასტრატეგიული და სპონტანურია. საჭიროა მეტად დაიხვეწოს, რადგან წარმოდგენილი მონაცემების შესწავლის შემდეგ მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე ცვლილებები უნდა შევიდეს ახალ კურიკულუმში. იკვეთება მზაობა, რომ სკოლა სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაცვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩოები
- განმავითარებელი და განმსაზრვრელი შეფასების რუბრიკები
- მოსწავლის ნამუშევრის ანალიზი
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რადგან სკოლაში სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი შემდეგი საკითხები:

- სკოლის პრიორიტეტებსა და საჭიროებებზე მორგებული საათობრივი ბადე;
- მოსწავლეთა პიროვნული ზრდაზე ორიენტირებული საგნობრივი პროგრამები
- აკადემიური მიღწევების შეფასების წესები
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

აღსანიშნავია, რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს თანამშრომლობითი ურთიერთობები. კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება რათა გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომებით შეძლონ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე ზრუნვა და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარება. სკოლას მიეცა რჩევა, გააანალიზონ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგები როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების დონეზე. დაწყებითი საფეხური ამ კრიტერიუმში სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 წლის სასწავლო გემაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მისიაა: დაწყებით საფეხურზე ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;
გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.
საბაზო საფეხურზე - საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძველების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის;
საშუალო საფეხურზე - ა) საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სკოლაში მოსწავლე თავად არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი, რადგან ხშირ შემთხვევაში მიმდინარეობს კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება და ხდება მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების პროგრესის შეფასება: (სკოლას საგნებში აქვს კონტექსტ მაგალითზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლის ცოდნის დონის აღწერა განმავითარებელი კომენტარით, ზეპირსიტყვიერად)

მნიშვნელოვანია აღინიშნოს,რომ მოსწავლეთა სწავლება მიმდინარეობს დიფერენცირებული მიდგომებით სკოლაში. მოსწავლეთა მოტივაციის, ჩართულობისა და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისთვის მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა სასწავლო პროექტებში ინტერესების, საჭიროებების და შესაძლებლობების შესაბამისად. სკოლაში ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. სკოლას მიეცა რჩევა შექმნან მოსწავლის და მასწავლებლის პორტფოლიო, მოხდეს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი და ანგარიში მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე, შექმნან საგნობრივი წრეები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველშე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეებზეა ორიენტირებული. ამ ამოცანის შესასრულებლად ძალზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კომპლექსური დავალებებია, რომელიც მოსწავლეს სწავლის სწავლის, კვლევის, წინარე და ცხოვრებისეული გამოცდილების საშუალებას აძლევს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ 2022-2023 სასწავლო წელს ყველა საგანში იგეგმება კომპლექსური დავალების განხორციელება. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილ დკოკუმენტაციაზე დაყრდნობით ვიგებთ რომ სკოლაში ხორციელდება ისეთი სასწავლო პროექტები, რომელებიც ზრდის მოსწავლეების მოტივაციას და უვითარებს მათ უმნიშვნელოვანეს, 21-ე საუკუნის უნარებს.
ასევე, სკოლის მიერ განხორციელბული ძალზე მნიშვნელოვანი, მასშტაბური პროექტი იყო „ჩვენ ერთად შევძლებთ“, რომლის მიზანისც ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა, აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეთა სოციალიზაციის პროცესი გაუმჯობესება იყო. ამ პროექტში ჩართული იყო ყველა ასაკობრივი ჯგუფი და მთელი სასკოლო საზოგადოება - მასწავლებლები, მშობლები. პროექტის შედეგადაც შემცირდა სსსმ მოსწავლეთა მიმართ სკოლის დამოკიდებულებით უკმაყოფილო მშობელთა რიცხვი, გამოიკვეთა 3 რისკის ჯგუფის მოსწავლე, 4 აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლის მშობელმა შეიძინა შესაბამისი ცოდნას, ამაღლდა პედაგოგთა და სპეცპედაგოგის კვალიფიკაცია, ამაღლდა მშობელთა ცნობიერება გაუმჯობესდება ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობა, მოეწყო მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული რესურსოთახი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ინტენსიური ხასიათი აქვს კომუნიკაციას. სხვადასხვა საგნობრივ კათედრებზე და კათედრებს შორის ხდება შეხვედრები მოსწავლეთა ცოდნის დონის, სასწავლო პროცესში წარმოქმნილი პრობლემების და გამოცდილების გაზიარების მიზნით. სასკოლო საზოგადოებაში ხშირ შემთხვევაში დამკვიდრებულია თანამშრომლობა და გუნდურობა, რაც თანამშრომლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესს ეფექტურს ხდის. სკოლას მიეცა რჩევა, შექმნან მოსწავლისა და მასწავლებლის პორტფოლიო, მოხდეს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი და ანგარიში მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე.

პირადმა ინტერვიუებმა კიდევ უფრო დაადასტურა ის რომ ზოგიერთი კათედრის პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აქვთ მუდმივი კომუნიკაცია, განიხილავენ სასწავლო პროცესს, შეფასებებს, კომპლექსურ დავალებებს და სხვა. თანამშრომლობაზე მოწმობს ისიც რომ სკოლამ განახორციელა რამდენიმე სასკოლო პროექტი რომელშიც მთელი სასკოლო საზოგადოება იყო ჩართული.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.
სასკოლო საზოგადობაში განვითარებულია სასკოლო თანამშრომლობითი კულტურა: სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო კლუბი, სადაც განხორციელებული პროექტები ახდენს: ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციას, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისებას,მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართულ აქტივობებს. სკოლაში განხორციელებული რიგი პროექტებიც პოზიტიური კლიმატს განაპირობებს. მაგ., სკოლში განხორციელებული ერთ ერთი პროექტი „გავერთიანდეთ კონფლიქტის წინააღმდეგ“ მთავარი მიზანი იყო სკოლაში თანამშრომლური კულტურის, სასკოლო კლიმატის გაჯანსაღება. კონფლიქტების შესახებ ცოდნის ამაღლება, კონფლიქტების პრევენცია და მისი გადაჭრის გზების ძიება, რაც მოსწავლეს აღჭურავს ცხოვრებისთვის ქმედითი უნარ-ჩვევებით. კონფლიქტის არსის შესახებ მოსწავლეთა, მასწავლებლების, მშობლების ცნობიერების ამაღლება, კონფლიქტების ამოცნობა, მისი დახასიათება, პრაქტიკული მაგალითების განხილვა, ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება, ასერტულობის განვითარება კონფლიქტების თავიდან აცილების გზით. პროექტში ჩართული იყო ყველა საგნობრივი კათედრა, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის IT მენეჯერი, სკოლის ბიბლიოთეკარი.
ასევე პროექტი „მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება (ტოლერანტობა)”, რომლის მიზანიც იყო მოსწავლეებში ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრება და ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება.
საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი, რომლის მიზანია მოსწავლეთა წიგნიერებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმი
- სკოლის შინაგანაწესი
- სასაწავლო პროექტი:ბუნებისმეტყველებაში (V კლ) განხორციელებული პროექტი: „ნარჩენების მართვა- გარემოს მდგრადი განვითარებისთვის“
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა ბუნებისმეტყველებაში(VI კლ)
- სასწავლო პროექტები: სამოქალაქო კლუბის მიერ განხორციელებული პროექტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ინტერვიუ/ფოკუს-ჯგუფის ფორმატში

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

სკოლაში მონიტორინგი და შეფასება მომავალი წლიდან გამხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად: კურიკულუმის განვითარება განიხილება, როგორც ციკლური პროცესი, რომელიც სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილია და მონიტორინგი და შეფასება კი სასწავლო პროცესის ეფექტიანობის განმსაზღვრელი.

საბაზო საფეხური ამ კრიტერიუმში ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ განხორციელდება მომავალი წლიდან სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.
სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის ფრაგმენტულია. ზოგიერთი პედაგოგი ახორციელებს პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, თვითშეფასებას, მაგრამ არ ხორციელდება სადიაგნოსტო შეფასება. პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევისა და თვითშეფასების შედეგად გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეები, ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები არაა ასახული კურიკულუმში ცვლილებების სახით. სკოლას მიეცა რჩევა განახორციელოს მოსწავლეთა სადიაგნოსტო შეფასებები მასწავლებელთა თვითშეფასებასა და პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევასთან ერთად. კვლევის შედეგები უნდა აისახოს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები
- სამოქმედო გეგმა ,
- კურიკულუმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რის მიხედვით განსაზღვრულია პრინციპები, რაც ეფუძნება გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას, სადაც სასკოლო საზოგადოების როლი განსაზღვრულია და ეყრდნობა მოსწავლეთა მხარდაჭერასა და განვითარებას. დოკუმენტში გაწერილია, რომ მოსწავლეთა შეფასება ჰოლისტური სახისაა და ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტები კერძოდ; მეთოდოლოგიის დოკუმენეტში ვკითხულობთ (გვ:8) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას რომელიც გულისხმობს: ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირებას; ბ) კომენტარს (დაზუსტება, წახალისება, შენიშვნა), რომელიც უზრუნველყოს მოსწავლის შემდგომ წინსვლას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით; გ) მოსწავლის თვითშეფასებას; დ) მასწავლებლის თვითრეფლექსიას. წარმოდგენილ მტკიცებულებებს ამყარებს პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოკვეთილი ტენდენცია, კერძოდ შუალედური მიზნის/კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ჩართულია კათედრის ყველა პედაგოგი და მოსწავლეთა მიღწევებისა და შედეგების მიხედვით ცვლილებებს ასახავენ კურიკულუმში. რაც ასევე წარმოდგენილია ახალი სასწავლო წლისთვის შექმნილ კურიკულუმის ჩარჩოებში (მაგ: საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის ჩარჩოები). თუმცა შეფასების მექანიზმები, როგორიცაა შეფასების რუბრიკები სკოლას დასახვეწი აქვს, რადგან წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, რადგან აქცენტები არ კეთდება გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მოსწავლეთა მიღწევების გაანალიზებაზე. თუმცა პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ გამოკვეთილი დეტალების მიხედვით აშკარაა, რომ სასკოლო საზოგადოება/კათედრის წევრები ახალი სასწავლო წლისთვის მოახდენს სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის განხორციელებას თითოეული მოსწავლის მიღწევებისა და შედეგების გათვალისწინებით.რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით შესაბამისობაშია.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

პედაგოგების მიერ მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიხედვით. რისთვისაც პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა ტიპის ანალიტიკურ რუბრიკებს, რომელიც ახალი სასწავლო წლისთვის მეტად უნდა იყოს დახვეწილი და მორგებული საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებს, რადგან მოსწავლის მიღწევების გაზომვა მოხდეს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხის მიხედვით, არამედ გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში. რისი მზაობაც პედაგოგებს აქვთ, რადგან სამ დღიანი ქოუჩინგის პროცესში მსგავს რუბრიკებზე აქცენტები გააკეთეს და ახალი სასწავლო წლისთვისაც გეგმავენ მის შექმნას. ასევე შერჩეული აქვთ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რაც საშუალებას მისცემთ თითოეული მოსწავლის მიღწევების მიხედვით ზუსტად მოახდინონ მათი მხარდაჭერა სასწავლო პროცესში. ასევე სკოლამ წარმოადგინა პრაქტიკის კვლევის დოკუმენტი, რაც საუკეთესო საშუალებაა ლოკალურ დონეზე პრობლემის დიაგნოსტირებისა და ინტერვენციების შედეგად მისი აღმოფხვრის, რაც შესაძლებელია სკოლის დონეზეც განზოგადდეს და ეფექტიანი სახე მიიღოს. სკოლაში ასევე შექმნილია ისგ-ს მიხედვით მოსწავლის ადაპტირებული შუალედური სასწავლო მიზნები/კომპლექსური დავალებები. რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას, ამ მხრივ სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის მექანიზმი არსებობს, რის მიხედვით მოსწავლეებს უკუკავშირი ზეპირი ფორმით მიეწოდება. ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რომ სკოლას აქვს პოტენციალი მოსწავლეთა მიღწევების შეფასება განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ მოსწავლეთა მიღწევების მონაცემების შესაგროვებლად აუცილებელია ჰქონდეს მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და სტრატეგიები. ამჟამად სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე ინსტრუმენტი, რომლებიც დასახვეწია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების საფუძველზე. კერძოდ, პედაგოგების მიერ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რის მიხედვით ხდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი, ასევე პრაქტიკის კვლევის დოკუმენტი, შემაჯამებელი დავალების ანალიზი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებები კათედრების დონეზე (მაგ: საზოგადოებრივი მეცნიერებები, უცხოური ენები) და ერთობლივად რეფლექსირება/გაანალიზება, პროექტული სწავლება (მაგ: მოქალაქეობა), ასევე ზეპირი უკუკავშირი. ასევე სკოლას ახალი სასწავლო წლისთვის შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რის განხორციელებას რამდენიმეჯერ გეგმავენ კათედრები. ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში პედაგოგები/კათედრები მოსწავლეთა მიღწევების მონაცემების შესაგროვებლად ეფექტურად გამოიყენებენ მრავალფეროვან მასალებს და ახალი სასწავლო წლისთვის კიდევ მეტად დახვეწავენ ახალი ინსტრუმენტების/რესურსების მიხედვით. რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.
კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი, რომ მოსწავლეთა მხარდაჭერისა და მიღწევების ზრდის მიზნით მნიშვნელოვანია დიაგნოსტირება, რომლის განხორციელების პროცესში შეფასება სხვადასხვა ფაქტორებით უნდა წარიმართოს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აღნიშნული პროცესი მეტად დასახვეწია, რადგან შეფასების მასალები სრულად კავშირში არაა გრძელვადიან მიზნებთან. თუმცა პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პედაგოგები სასწავლო პროცესში ახორციელებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, კერძოდ გაკვეთილის შეფასების რუბრიკის, პედაგოგთა რეფლექსიის, ისგ-ს მიხედვით შექმნილი ადაპტირებული კომპლექსური დავალებების, კურიკულუმში ასახული უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, დასტურდება, რომ კათედრებზე აქტიურად ხორციელდება მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით დიფერენცირებული მექანიზმებისა და შეფასების სხვადასხვა ფაქტორების მიხედვით ანალიზი. რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა განვითრების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმები;
- პრაქტიკის კვლევის დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სასკოლო პროექტი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება მომდევნო სასწავლო წლისთვის რათა უკეთ ჩამოყალიბდეს კურიკულუმი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის სასკოლო საზოგადოება გამოკვეთს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს. ამავე დროს, საჭიროებების კვლევის შედეგად გამოვლენილ გამოწვევებს, წლის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას კურიკულუმის განვითარების საფუძვლად აქცევს. შედეგად შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. სკოლას მიეცა რჩევა:განახორციელოს კვლევა სკოლის პრიორიტეტებისა და მოქმედების არეალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოსაკვლევად.სკოლამ შექმნას სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის მათი ჩართულობის, პასუხისმგებლობის, მხადაჭერის ამსახველი გზამკვლევევბი**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება მომდევნო სასწავლო წლისთვის რათა უკეთ ჩამოყალიბდეს შემდეგი წლის კურიკულუმი. ვიზიტისას ფოკუს- ჯგუფში გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს , რომ კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაგეგმილ და განხორციელებულპროცესებს შორის. მომავალი სასწავლო წლიდან მოხდება მოსწავლეთა შედეგების , მასწავლებლების დაგეგმილი და განხორციელებული პროცესების კვლევა კლასისა და საფეხურების დონეზე და კვლევის შედეგების აისახვა კურიკულუმში. კურიკულუმის რევიზიის პროცესში ჩაერთვება სრულიად სასკოლო საზოგადოება. სკოლას მიეცა რჩევა: სკოლამ განახორციელოს სასკოლო პროექტი, რომელშიც ყველა კათედრა მიიღებს მონაწილეობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმი
- ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სასკოლო კურიკულუმი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინების შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ყურადღება მიექცევა სასკოლო საზოგადოების შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის ჩართულობით. ამის უზრუნველსაყოფად, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად, სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებას: ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, ბეჭდვით მასალებს, იყენებს საჯარო ღონისძიებებს ინფორმაცის გაზიარებისთვის, დამრიგებლების შეხვედრას მშობლებთან და სხვ.

სასკოლო კურიკულუმის განახლება წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე მოხდება, სადაც გაითვალისწინებენ გასული სასწავლო წლის მიგნებებს, გამოკვეთილ პრობლემებსა თუ საჭიროებებს. სკოლა სსსმ მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფისთვის შეიმუშავებს კურიკულუმს შესაბამისი რესურსების, შინაარსის, თუ აქტივობების შერჩევის გზით. ასევე სასკოლო საზოგადოების ჩართულობას უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება. სკოლა აცნობიერებს მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობას თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებისთვის და გეგმავს სამომავლოდ მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლასა და გამოკვეთას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები აისახება კურიკულუმში, რომლებსაც კონსულტაციების შედეგად ადგენს სკოლა და რომლის განხორციელებასაც აპირებს ახალი 2023-2024 სასწავლო წლისთვის. ასევე საგნობრივი კურიკულუმების ფარგლებში ხდება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება, რომელსაც საგნობრივი კათედრის მასწავლებლები გამოკვეთავენ განვლილი სასწავლო პროცესების ანალიზის და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად, ისინი მიმართავენ სხვადასხვა საშუალებას: მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიღწევების დიაგნოსტირებას და შედეგების ანალიზს, განმავითარებელ უკუკავშირს, ასევე მასწავლებელთა თვითრეფლექსიას. თითოეული საგნობრივი კათედრა სხდომებზე გაუზიარებს კოლეგებს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილ პრობლემებს, მიგნებებს, მოსწავლეთა შედეგებს და განიხილავს მათთან ერთად კურიკულუმში ცვლილებების შესატანად. საგნობრივი კურიკულუმები ძირითადად გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, ის ითვალისწინებს მოსწავლეთა ასკობრივ თავისებურებებს, მათ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. აღნიშნული ქმედებები მეტყველებს იმაზე, რომ სკოლა აცნობიერებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას სასკოლო ცხოვრებაში და აპირებს მუშაობას ამ მიმართულებით და მათი ინტერესების გათვალისწინებას სამომავლოდ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიზნით, მოხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, რაც მოიაზრებს მათ ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კათედრის თავმჯდომარე ათანხმებს კათედრის წევრებთან, მოსწავლეების მიღწევებისა და სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის მოგროვების სტრატეგიებს, ის ასევე უზრუნველყოფს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალების შეგროვებას, და კათედრის სხდომების ჩატარებას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად. კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის მისი გადახედვა, და დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრებისა და სკოლის დირექციის მუშაობა. სკოლის განვითარებისა და მისი საჭიროებების კვლევის პროცესში ჩართულია მოსწავლეთა თვითმმართველობაც, თუმცა წარმოდგენილია მხოლოდ 2022-2023 წლის თვითმმართველობის დებულება.

სკოლა იზიარებს რა თითოეული წევრის ჩართულობის მნიშვნელობას, გეგმავს ამ კუთხით გააძლიეროს მუშაობა და გამოიყენოს ანკეტირება/გამოკითხვა და სხვა საშუალებები, რათა მოახდინოს მშობლების, მოსწავლეების შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლა/გამოკვეთა სასწავლო პროცესებთან მიმართებით, რომ უზრუნველყოს კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებულია კურიკულუმი. სკოლას აქვს მშობლებთან ურთიერთობის სხვადასხვა საკომუნიკაციო ფორმა, როგორც სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ინდივიდუალური შეხვედრები, სოციალური ქსელის საშუალებით, მშობლის ბარათები და სხვ. სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროექტების, ღონისძიებების თუ სპორტული აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საზოგადოებისთვის სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს. სკოლის ელექტრონული ფოსტა, სკოლის ღია სივრცე, საინფორმაციო დაფა, რომელზეც ახალი ინფორმაციის განთავსება ხდება სკოლის შიდა და გარე კომუნიკაციის საშუალებებია, რომლის საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა ინფორმირება და ასევე ეფექტური უკუკავშირის მიღება. დაწესებულება გეგმავს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად, მომავალშიც გამოიყენოს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის კურიკულუმები რომელშიც წარმოდგენილია სტანდარტით გათვალისწინებული ყველა თემა და რამდენიმე კომპლექსური დავალება, შემუშავებული კურიკულუმები ყოველთვის არ წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მართალია, წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპლექსური დავალება, კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მიწოდებული მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშების მიხედვით, თუმცა სკოლის კურიკულუმებში არ ჩანს მე-11 და მე-12 კლასების კურიკულუმები.

აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო კათედრაზე თანამშრომლობით შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ძირითადად სრულად არის დაფარული ყველა სავალდებულო თემები ქიმიაში, ფიზიკასა და ბიოლოგიაში. სწორედ არის ასახული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ურთიერთმიმართება, შესაბამისი რესურსები; ასევე რიგ შემთხვევაში ჩანს კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის.

სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმები იძლევა იმის საფუძველს, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სკოლის საშუალო საფეხური აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში განსაზღვრულია სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ასეთი დავალებების განხორციელების ეტაპზე აუცილებელია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების დამუშავება საგნობრივი საკითხების დამუშავების ფარგლებში. თუმცა, სკოლას ყველა კლასისთვის არ აქვს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები. მართალია, სკოლას არასრულყოფილად აქვს წარმოდგენილი კურიკულუმები, თუმცა ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლამ მეთერთმეტე კლასის კურიკულუმი გრიფირების მოლოდინის გამო არ წარმოადგინა, ხოლო მე-12 კლასი ძველი სტანდარტის მიხედვით აქვთ და ახალ სტანდარტზე გადააწყობენ და წარმოადგენენ სექტემბრისთვის. ამის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ განუვითაროს მოსწავლეებს გლობალური ფუნქციური უნარები. ამიტომ სკოლა შეძლებს, საშუალო საფეხურის მოსწავლეებს განუვითაროს გლობალური ფუნქციური უნარები, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს,რადგან კურიკულუმის ჩარჩოებში სრულად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული საბუნებისმეტყველო საგნების სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. სწორადაა შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენა. კომპლექსური დავალების პირობები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლეებს უვითარებს ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივსტული პრინციპით ნაცნობი კონტექსტთან კაცშირში. ამრიგად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები ს ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უცხოურ ენებში წარმოდგენილი კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებებიც, ასევე თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, რესურსები, ქვეთემები, შესაბამისად სასწავლო პროცესი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილია ერთ-ერთი კათედრის შემაჯამებელი დავალების ანალიზი, წარმოდგენილია დიაგნოსტიკური წერის რეფლექსია, დაკვირვების ფორმა და სადიაგნოსტიკო ტესტი. ასევე, წარმოდგენილია 34 მოსწავლიდან ერთ-ერთის ისგ-ს ნიმუში, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვისას უპირველესად მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებენ. სკოლაში შექმნილია მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლისათვის.

საბუნებისმეტყველო კათედრაზე სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,რადგან კათედრას აქვს გამოცდილება და ამ ეტაპზე მუშაობს კოპლექსური ტიპის დავალებებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. აღნიშნული მიდგომები ასახულია კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლას აქვს შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ორიენტირებულია კონკრეტული უნარების განვითარებაზე. გეგმის განხორციელების პროცესში ხდება მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასებაც
შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებების შესაბამისი სოლო ტაქსონომიით შეფასების რუბრიკა, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებზე-გრძელვადიან მიზნებზე; წარმოდგენილია საშუალო საფეხურის კლასებისთვის როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ იგეგმება დანარჩენი თემების და კლასებისთვის შეფასების ნიმუშები წარმოადგინონ სექტემბრამდე. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. ფასდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი; ხოლო განმავითარებელი შეფასებით დგინდება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე სკოლა მოსწვალის შეფასების მექანიზმად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, იყენებს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რეალიზების საშუალებას. წარმოდგენილია „სოლო“ ტაქსონომიით შეფასების ამსახველი რუბრიკები. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. როგორც აღინიშნა, სკოლის საშუალო საფეხურის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც უფრო მეტად დაკონკრეტებას მოითხოვს, თუმცა აქვე დართულია შეფასების ანალიზიც, რაც ხელს შეუწყობს გრძელვადიანი მიზნებისკენ და მეთოდური ორიენტირებისკენ სვლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან არ ჩანს, თუმცა თვითშეფასებიდან ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს და მომავალშიც გაითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე სასკოლო საზოგადოება იმუშავებს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შედგენაზე, მნიშვნელოვანია პარალელური კლასების გამოცდილების გაზიარებაც, რაც ასევე გამოჩნდა თვითშეფასებაში და კათედრასთან ინტერვიურების პროცესშიც. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა საშუალო საფეხურზე ითვალისწინებს წინარე გამოცდილებასა და მისი ანალიზის შედეგებს, აუცილებელია რეფლექსიის/დიაგნოსტრირების ინსტრუმენტის შემუშავება/განხორციელება, რათა სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს მოსწავლის შედეგების ანალიზი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმი
სასკოლო სასწავლო გეგმა (შემაჯამებელი დავალების ანალიზი)
ისგ ჯგუფის ოქმები
შეფასებები და მათი ანალიზი (მოსწავლეთა ნაშრომები)

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.4. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ნაწილობრივ იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; ეს დასტურდება იმით, რომ სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეპიზოდურად და არა სისტემურად ხორციელდებოდა. თემატური მატრიცები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად, თუმცა, საგანთა უმეტესობაში, საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები შევსებულია ზერელედ, სტიქიურად და განსხვავებული ფორმებით. უმეტესად შეფასების რუბრიკები არ ემთხვევა რეკომენდირებულ და აკადემიურ ინფორმაციას. ერთი საგნის კურიკულუმის ჩარჩოების სხვადასხვაგვარად შევსებული ვერსიებიც ადასტურებს იმას, რომ არა თუ კათედრათა შორის, არამედ კათედრის წევრებს შორისაც არ არსებობს ეფექტიანი კომუნიკაცია და კოლაბორაცია. ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საკლასო გარემო არის პოზიტიური და მოწესრიგებული, სასწავლო რესურსებით რამდენადმე უზრუნველყოფილი. უშუალოდ კურიკულუმში მოცემული მიზნებიდან გამომდინარე, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული სხვა ინფორმაციებით,

საბუნებისმეტყველო საგნების საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები,რომლებიც საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება ხუთ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპს შესაბამისად მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს აქტურად შემოქმედებით პროცესებში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლაში მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. სწავლება მიმდინარეობს პოზიტიურ სასწავლო გარემოში და მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რადგანაც უცხოურ ენებში წარმოდგენილი კურიკულუმები ძირითადად კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებებს ეფუძნება, მოსწავლე იქნება შემოქმედებით პროცესში ჩართული. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების კათედრა ცდილობს მოსწავლეთა ჩართვას სხვადასხვა შემოქმედებით ღონისძიებაში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;საფეხურზე, სკოლის კათედრებს ნაწილობრივ ისე აქვთ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, სამიზნე ცნება, მიმართულებები, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების პირობები, საკითხები თუ რესურსები, რომ ბუნდოვანია ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკაში არსებობს კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის გამოცდილება, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, არ არის წარმოდგენილი გააზრებულად ეტაპები, ნაბიჯები და აქტივობები. მართალია, წარმოდგენილია ისეთი შემთხვევები, როცა დავალება შეიცავს პერფორმანსს, ახალი პროდუქტის შექმნის გამოწვევას, არსებობს კონტექსტზე დაფუძნების შემთხვევებიც.

საბუნებისმეტყველო კათედრაზე პედაგოგებთან გასაუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი მიმდინარეობს ეპიზოდურად, თუმცა იმისთვის, რომ მოსწავლე დაეუფლოს სწავლის სტრატეგიებს და შემოქმედებითი პროდუქტი შექმნან გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში, აუცილებლად უნდა გაიწეროს ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით კურიკულუმის დანართი, სადაც კომპლექსური დავალებების მიხედვით წარმოდგენილი იქნება ცოდნის აგების პრინციპი და სწავლა განხორციელდება კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე. ნაკლებია აქცენტი სწავლის სწავლაზე და მეტაკოგნტური უნარების განვითარების წინაპირობა. საფეხურის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილების გეგმებიდან და შეფასების რუბრიკებით ჩანს, რომ გამოიყენება სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი მეთოდები დამოუკიდებლად ცოდნის ასაგებად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სკოლის წარმომადგენლობა ეროვნულ სასაწვლო გეგმის მოთხოვნის საფუძველზე საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. საგნობრივი კურიკულუმები და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური აქტივობები ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ნაკლებად ამოიცნობა. ცხადია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სწორად განხორციელებულ სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს, გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითად სკოლას აქვს გამოცდილება, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები და შესაბამისი აქტივობების განხორციელება. საფეხურზე სწავლების დროს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებული დავალებები წარმოდგენილია სხვადასხვა სახით, რომლებიც არასტრატეგიულად, სტიქიურად რამდენადმე უწყობს ხელს როგორც დეკლარაციულ, ისე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. ინტერვიუში მასწავლებლები ამ პროცესებზე საუბრობენ.

უცხოურ ენებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები ისეა გაწერილი, რომ მოხდეს მოსწავლეების ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
სკოლა იდეის დონეზე აცნობიერებს, რომ ესგ-ს შესაბამისი თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები ის შესაძლებლობები და სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პრეცენდენტები ჩანს სკოლაში განხორციელებული აქტივობებით. თუმცა იმისთვის, რომ მოსწავლეებმა ურთიერთდაკავშირებული და ორგანიზებული ცოდნა ააგონ, აუცილებელია ცოდნის სამი კატეგორიის მიხედვით კომპლექსური დავალებების განხორციელება სისტემატურად, რადგან მოსწავლემ პირობისეული ცოდნის მიხედვით შეძლოს ცოდნის განზოგადება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის ჩარჩოები;**
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში/ანალიზი;
- მასწავლებელთა რეფლექსიები ინტერვიუს დროს;
- გაკვეთილების გეგმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

კურიკულუმის ჩარჩოში შუალედური (საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, იდეა, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, საფეხურის შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესში ნაწილობრივ უზრუნველყოფილი იქნება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. მასწავლებლებს ეპიზოდურად სწორად აქვთ მითითებული საკითხები, ცნებები, ქვესაკითხები. დადასტურდა გასაუბრებისას ის, რომ სკოლას აქვს პოტენციალი, სასწავლო გეგმის ჩარჩო გამართულად შექმნას. საგნობრივი კურიკულუმი ნაწილობრივ ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალედებული/სარეკომენდაციო თემები, მიმართულებები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები. მეორე მხრივ, ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსურ დავალებებსა და მათ რეფლექსიებში სკოლის პოტენციალი, რაც პერსპექტივაში იმედს იძლევა. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი ნაწილობრივ უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას. აღნიშნული აღწერა საერთოა ყველა საგნობრივი ჯგუფისათვის, ამდენად, სასწავლო პროცესი ნაწილობრივ უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე დაყრდნობით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

მოსწავლის კოგნიტურ განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-კულტურულ-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სკოლა მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოს ქმნის ისეთი პროექტებისა და არაფორმალური აქტივობებით, რომლებიც 21-ე საუკუნის კომპეტენციებსა და გლობალურ უნარებს ავითარებს. მდგრადი შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მისაღწევად სწავლა-სწავლების პროცესს ესაჭიროება მუდმივი მონიტორინგი, თვითრეფლექსია და პროფესიულ განვითარებაზე აქტიური მუშაობა. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები, რომ სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა იმისთვის, ეს პროცესი გაზომვადი იყოს, აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე, კურიკულუმში აქტივობები ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების/პროექტების განხორციელების პროცესში თანმიმიდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხვები ესმით, გააზრებული აქვთ. მათ აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესს ისე წარმართავენ, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს დაეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილ კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც ძირითადად სხვადასხვა ტიპის პროდუქტით განისაზღვრება, აქტივობების განხორციელების პროცესში მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. ამისათვის წარმოდგენილია ხარვეზიანი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებელთა მიერ აღნიშნული ინფორმაციით, რომ კომპლექსური დავალებების ბოლოს შეფასება კეთდება სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით, ამგვარი მიდგომა შეფასებას ხდის გამჭირვალეს, ობიექტურსა და სამართლიანს. იკვეთება საგნები, რომელთა სწავლებაც არ არის მკაფიოდ კავშირში საგნობრივ სტანდარტებთან. ეს, შესაძლოა, ერთი მხრივ განპირობებული იყოს სტანდარტის შედეგების ცვლილებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლები ავლენენ აღნიშნული შეფასების მეთოდოლოგიურ ცოდნას, ესმით განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მოტივაციის მიზნით შეფასების დადებით ასპექტებზე აკეთებენ აქცენტირებას, შემდეგ კი _ გასაუმჯობესებელ მხარეზე. ამრიგად, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად კათედრები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს,რუბრიკებში ნათლად უნდა იყოს ასახული, რომელ ინდიკატორს მიემართება შეფასება. ის ასპექტი, რომ შეფასების სისტემის შერჩევა ხდება ესგ-ზე დაყრდნობით, მას უფრო ვალიდურსა და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისს ხდის. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში შეფასების თითოეულ კრიტერიუმს აქვს მინიჭებული ქულა, შესაბამისად, მოსწავლემ იცის პირობითად, ზუსტად რა კრიტერიუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიხედვით რამდენ ქულას იმსახურებს. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგებმა ერთად შექმნეს სტანდარტზე დაყრდნობით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

საგნობრივ კათედრებზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის. სკოლა გეგმავს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას. მასწავლებელითან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მათ აქვთ მომავლის ხედვა თუ როგორ უნდა მოახდინონ დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი. ვერიფიკაციის მექანიზმი, როგორც სტრუქტურირებული დოკუმენტი არ არსებობს, რადგან არ არსებობს ყველა საგანში შეფასების რუბრიკების ისეთი საპილოტე ვერსიები, რომლებიც ზუსტად გამოხატავს შეფასების ხელოვნების ფლობას.
ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლისათვის უფრო მკაფიოდ გაწერენ ვერიფიკაციის მექანიზმებს, რისი თეორიული ცოდნაც არის მასწავლებლებში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2023 წლის 01 ოქტომბერი) ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად "**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.
სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. დირექტორის სამართლებრივ - ადმინისტრაციული ბრძანებით განსაზღვრული აქვს ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. კათედრის მიერ მოსწავლეთა მიერ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით, თუმცა ეს პროცესი უფრო არასტრატეგიული და სპონტანურია. საჭიროა მეტად დაიხვეწოს, რადგან წარმოდგენილი მონაცემების შესწავლის შემდეგ მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე ცვლილებები უნდა შევიდეს ახალ კურიკულუმში. იკვეთება მზაობა, რომ სკოლა სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაცვას და გაატერებს შესაბამის ზომებს ანუ 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემს/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩოები
- განმავითარებელი და განმსაზრვრელი შეფასების რუბრიკები
- მოსწავლის ნამუშევრის ანალიზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- შემაჯამებელი დავალების ანალიზი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რადგან სკოლაში სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი შემდეგი საკითხები:

- სკოლის პრიორიტეტებსა და საჭიროებებზე მორგებული საათობრივი ბადე;
- მოსწავლეთა პიროვნული ზრდაზე ორიენტირებული საგნობრივი პროგრამები
- აკადემიური მიღწევების შეფასების წესები
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

აღსანიშნავია, რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს თანამშრომლობითი ურთიერთობები. კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება რათა გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომებით შეძლონ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე ზრუნვა და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარება. სკოლას მიეცა რჩევა, გააანალიზონ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგები როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების დონეზე.საშუალო საფეხური ამ კრიტერიუმში სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 წლის სასწავლო გემაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მისიაა: დაწყებით საფეხურზე ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.
საბაზო საფეხურზე - საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძველების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის;
საშუალო საფეხურზე - ა) საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სკოლაში მოსწავლე თავად არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი, რადგან ხშირ შემთხვევაში მიმდინარეობს კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება და ხდება მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების პროგრესის შეფასება: (სკოლას საგნებში აქვს კონტექსტ მაგალითზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლის ცოდნის დონის აღწერა განმავითარებელი კომენტარით, ზეპირსიტყვიერად)
მნიშვნელოვანია აღინიშნოს,რომ მოსწავლეთა სწავლება მიმდინარეობს დიფერენცირებული მიდგომებით სკოლაში. მოსწავლეთა მოტივაციის, ჩართულობისა და ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისთვის მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა სასწავლო პროექტებში ინტერესების, საჭიროებების და შესაძლებლობების შესაბამისად. სკოლაში ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. სკოლას მიეცა რჩევა შექმნან მოსწავლის და მასწავლებლის პორტფოლიო, მოხდეს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი და ანგარიში მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე, შექმნან საგნობრივი წრეები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველშე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეებზეა ორიენტირებული. ამ ამოცანის შესასრულებლად ძალზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კომპლექსური დავალებებია, რომელიც მოსწავლეს სწავლის სწავლის, კვლევის, წინარე და ცხოვრებისეული გამოცდილების საშუალებას აძლევს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ 2022-2023 სასწავლო წელს ყველა საგანში იგეგმება კომპლექსური დავალების განხორციელება. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილ დკოკუმენტაციაზე დაყრდნობით ვიგებთ რომ სკოლაში ხორციელდება ისეთი სასწავლო პროექტები, რომელებიც ზრდის მოსწავლეების მოტივაციას და უვითარებს მათ უმნიშვნელოვანეს, 21-ე საუკუნის უნარებს.
ასევე, სკოლის მიერ განხორციელბული ძალზე მნიშვნელოვანი, მასშტაბური პროექტი იყო „ჩვენ ერთად შევძლებთ“, რომლის მიზანისც ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა, აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეთა სოციალიზაციის პროცესი გაუმჯობესება იყო. ამ პროექტში ჩართული იყო ყველა ასაკობრივი ჯგუფი და მთელი სასკოლო საზოგადოება - მასწავლებლები, მშობლები. პროექტის შედეგადაც შემცირდა სსსმ მოსწავლეთა მიმართ სკოლის დამოკიდებულებით უკმაყოფილო მშობელთა რიცხვი, გამოიკვეთა 3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რისკის ჯგუფის მოსწავლე, 4 აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლის მშობელმა შეიძინა შესაბამისი ცოდნას, ამაღლდა პედაგოგთა და სპეცპედაგოგის კვალიფიკაცია, ამაღლდა მშობელთა ცნობიერება გაუმჯობესდება ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობა, მოეწყო მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული რესურსოთახი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ინტენსიური ხასიათი აქვს კომუნიკაციას. სხვადასხვა საგნობრივ კათედრებზე და კათედრებს შორის ხდება შეხვედრები მოსწავლეთა ცოდნის დონის, სასწავლო პროცესში წარმოქმნილი პრობლემების და გამოცდილების გაზიარების მიზნით. სასკოლო საზოგადოებაში ხშირ შემთხვევაში დამკვიდრებულია თანამშრომლობა და გუნდურობა, რაც თანამშრომლობის პროცესს ეფექტურს ხდის. სკოლას მიეცა რჩევა, შექმნან მოსწავლისა და მასწავლებლის პორტფოლიო, მოხდეს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი და ანგარიში მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე.

პირადმა ინტერვიუებმა კიდევ უფრო დაადასტურა ის რომ ზოგიერთი კათედრის პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აქვთ მუდმივი კომუნიკაცია, განიხილავენ სასწავლო პროცესს, შეფასებებს, კომპლექსურ დავალებებს და სხვა. თანამშრომლობაზე მოწმობს ისიც რომ სკოლამ განახორციელა რამდენიმე სასკოლო პროექტი რომელშიც მთელი სასკოლო საზოგადოება იყო ჩართული.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სასკოლო საზოგადობაში განვითარებულია სასკოლო თანამშრომლობითი კულტურა: სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო კლუბი, სადაც განხორციელებული პროექტები ახდენს: ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციას, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისებას,მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართულ აქტივობებს. სკოლაში განხორციელებული რიგი პროექტებიც პოზიტიური კლიმატს განაპირობებს. მაგ., სკოლში განხორციელებული ერთ ერთი პროქტი „გავერთიანდეთ კონფლიქტის წინააღმდეგ“ მთავარი მიზანი იყო სკოლაში თანამშრომლური კულტურის, სასკოლო კლიმატის გაჯანსაღება. კონფლიქტების შესახებ ცოდნის ამაღლება, კონფლიქტების პრევენცია და მისი გადაჭრის გზების ძიება, რაც მოსწავლეს აღჭურავს ცხოვრებისთვის ქმედითი უნარ-ჩვევებით. კონფლიქტის არსის შესახებ მოსწავლეთა, მასწავლებლების, მშობლების ცნობიერების ამაღლება, კონფლიქტების ამოცნობა, მისი დახასიათება, პრაქტიკული მაგალითების განხილვა, ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება, ასერტულობის განვითარება კონფლიქტების თავიდან აცილების გზით. პროექტში ჩართული იყო ყველა საგნობრივი კათედრა, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის IT მენეჯერი, სკოლის ბიბლიოთეკარი.
ასევე პროექტი „მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება (ტოლერანტობა)”, რომლის მიზანიც იყო მოსწავლეებში ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრება და ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება.
საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი, რომლის მიზანია მოსწავლეთა წიგნიერებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმი
- სკოლის შინაგანაწესი
- სასაწავლო პროექტი:ბუნებისმეტყველებაში (V კლ) განხორციელებული პროექტი: „ნარჩენების მართვა- გარემოს მდგრადი განვითარებისთვის“
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა ბუნებისმეტყველებაში(VI კლ)
- სასწავლო პროექტები: სამოქალაქო კლუბის მიერ განხორციელებული პროექტები
- ინტერვიუ/ფოკუს-ჯგუფის ფორმატში

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს. სკოლაში მონიტორინგი და შეფასება მომავალი წლიდან განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად: კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განვითარება განიხილება, როგორც ციკლური პროცესი, რომელიც სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილია და მონიტორინგი და შეფასება კი სასწავლო პროცესის ეფექტიანობის განმსაზღვრელი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ განხორციელდება მომავალი სასწავლო წლიდან სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.
სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გამოიყენება ხდება პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის . ზოგიერთი პედაგოგი ახორციელებს პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, თვითშეფასებას, ნაკლებად ხორციელდება სადიაგნოსტო შეფასება. პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევისა და თვითშეფასების შედეგად გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეები, ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები ნაკლებადაა ასახული კურიკულუმში ცვლილებების სახით. სკოლას მიეცა რჩევა განახორციელოს მოსწავლეთა სადიაგნოსტო შეფასებები მასწავლებელთა თვითშეფასებასა და პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევასთან ერთად. კვლევის შედეგები უნდა აისახოს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

.დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები
- სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რის მიხედვით განსაზღვრულია პრინციპები, რაც ეფუძნება გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვასა და მხარდაჭერას, რის დოკუმენტში გაწერილია, რომ მოსწავლეთა შეფასება ჰოლისტური სახისაა და ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტები კერძოდ; მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ (გვ:8) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას რომელიც გულისხმობს: ა) მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირებას; ბ) კომენტარს (დაზუსტება, წახალისება, შენიშვნა), რომელიც უზრუნველყოს მოსწავლის შემდგომ წინსვლას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით; გ) მოსწავლის თვითშეფასებას; დ) მასწავლებლის თვითრეფლექსიას. თუმცა საშუალო საფეხურზე მსგავსი რესურსები წარმოდგენილი არ არის. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ეფექტურად ახდენენ კათედრაზე ინსტრუმეტის შემუშავებას, როგორიცაა ეროვნული სასწავლო გეგმის მიღწევების ტაქსონომიის რუბრიკები, თუმცა წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები დასახვეწია და არ შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რადგან აქცენტები კეთდება პროცესზე და არა გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში შედეგებზე/მოსწავლის მიღწევებზე. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ამ მხრივ ახალი სასწავლო წლის მოსამზადებელ პერიოდში აქტიურად იმუშავებენ და მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასების დასანერგად დიაგნოსტიკური შეფასების დამკვიდრებას გეგმავენ, რისთვისაც შეარჩიეს შეთავაზებული ინსტრუმენტიდან ერთ-ერთი, რომელსაც რამდენიმეჯერ განხორციელებენ. რაც გვაფიქრებინებს, **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ შექმნილი მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია, რომ მოსწავლეთა მიღწევების უკეთ გასაანალიზებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება განმავითარებელ შეფასებას, თუმცა საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები წარმოდგენილი არ არის, რაც ხელს შეუწყობს გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მოსწავლის მიღწევების ანალიზს. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ამ მხრივ მუშაობა ახალი სასწავლო წლის მოსამზადებელი ეტაპისთვის ხორციელდება და კათედრებს გააჩნიათ კონკრეტული ხედვა, რის ფარგლებშიც მოსწავლეთა შეფასება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს, კერძოდ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის შედეგად წარმოდგენილი მიღწევების მიხედვით. რაც გვაფიქრებინებს, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

საშუალო საფეხურზე სკოლას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოები (მაგ: საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების მიხედვით), თუმცა შეფასების ნაწილი დასახვეწია, რადგან მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების მიხედვით არ რის წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაქმნელია. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა გამოთქვეს მოსაზრებები, რომ ახალი სასწავლო წლის მოსამზადებელ პერიოდში აქტიურად იმუშავებენ ამ კუთხით, რადგან კათედრებზე აქტიურად განიხილება მოსწავლეთა მიღწევების მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების, სტრატეგიებისა და მექანიზმების შემუშავება, რაც ასევე განსაზღვრულია სადიაგნოსტიკო შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინსტრუმენტით, რომელიც ახალი სასწავლი წლის პერიოდში რამდენიმეჯერ უნდა განხორციელდეს თითოეული საგნის მიხედვით. რაც გვაფიქრებინებს, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია, რომ მოსწავლეთა მხარდაჭერისა და მიღწევების ზრდის მიზნით შეფასება მრავალფეროვანი სტრატეგიებით განხორციელდება, რა დროსაც აუცილებელია დიფერენცირებული მეთოდების გათვალისწინება თითოეული მოსწავლის მიღწევების გათვალისწინებით. თუმცა ამ მხრივ საშუალო საფეხურზე წარმოდენილია მხოლოდ მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოები, ხოლო შეფასების რუბრიკები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით შესაქმნელია. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში ამის შესახებ დიდი მზაობა გამოითქვა, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ მხრივ სასკოლო საზოგადოებაში გარკვეული გამოცდილება არსებობს და კათედრებზე აქტიურად მიმდინარეობს განხილვა კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტების შექმნისა და დახვეწის მიხედვით. კერძოდ ეს ეხება განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, სადიაგნოსტიკო და თვითშეფასების ინსტრუმენტებს. რაც გვაფიქრებინებს, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება მომდევნო სასწავლო წლისთვის რათა უკეთ ჩამოყალიბდეს კურიკულუმი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის სასკოლო საზოგადოება გამოკვეთს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს. ამავე დროს, საჭიროებების კვლევის შედეგად გამოვლენილ გამოწვევებს, წლის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას კურიკულუმის განვითარების საფუძვლად აქცევს. შედეგად შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. სკოლას მიეცა რჩევა:განახორციელოს კვლევა სკოლის პრიორიტეტებისა და მოქმედების არეალის გამოსაკვლევად.სკოლამ შექმნას სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის მათი ჩართულობის, პასუხისმგებლობის, მხადაჭერის ამსახველი გზამკვლევები**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება მომდევნო სასწავლო წლისთვის რათა უკეთ ჩამოყალიბდეს შემდეგი წლის კურიკულუმი. ვიზიტისას ფოკუს- ჯგუფში გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს , რომ კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს დაგეგმილ და განხორციელებულპროცესებს შორის. მომავალი სასწავლო წლიდან მოხდება მოსწავლეთა შედეგების , მასწავლებლების დაგეგმილი და განხორციელებული პროცესების კვლევა კლასისა და საფეხურების დონეზე და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კვლევის შედეგების აისახვა კურიკულუმში. კურიკულუმის რევიზიის პროცესში ჩაერთვება სრულიად სასკოლო საზოგადოება. სკოლას მიეცა რჩევა: სკოლამ განახორციელოს სასკოლო პროექტი, რომელშიც ყველა კათედრა მიიღებს მონაწილეობას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმი
- ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თარიღი: 7.09.2023

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: მაკა ჭიაბერაშვილი

თავმჯდომარე: მაკა ჭიაბერაშვილი

წევრები

წევრები:

მაკა კანდელაკი-ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი;

რუსუდან უსტიაშვილი- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნიკა უთალიშვილი- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

თამთა პეტრიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

თამარ ხოსროშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
მეგი კაპანაძე- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი ;

როლანდი ხოჯანაშვილი- სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

მზია დადვანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ნათია ბრეგაძე-დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---